ᲑᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ, ᲨᲔᲒᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-40 ᲬᲚᲘᲡ № 52 (11663) | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1960 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐ�პ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ

◆ **ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ.** (სკ. კორ.). დგანან რა ლენინურ შრომითს ვახტზე, ქართველმა მეტალურგებმა მორიგ წარმატებებს მიაღწიეს, პროდუქციის გამოშვების თებერვლის სახელმწიფო დაკალება სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ასობით ტონა თუჯი, ფოლადი, მილები.

რუსთავის მეტალურგები ხიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო განამტკიცებენ ამ წარმატებებს და ახალი გამარჯვებებით აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავს.

◆ **ᲩᲘᲑᲣᲚᲘ.** ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტმა 29 თებერვლის დილის ცვლაში შეასრულა ქვანახშირის ამოღების ორი თვის პროგრამა. შარშანდელთან შედარებით სათბობის ამოღება გადიდდა 8 პროცენტით, მნიშვნელოვნად შემცირდა მისი თვითღირებულება.

საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს სტალინის სახელობის შახტის კოლექტივი. აქ იკასრეს ვალდებულება — წლიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ 8 ათასი ტონა ქვანახშირი. ამ ვალდებულების ანგარიშში უკვე ამოღებულია ოთხი ათასი ტონა ქვანახშირი.

◆ **ᲐᲑᲐᲨᲘᲡ** რაიონის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორცისა და კვერცხის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. 21 თებერვლისათვის მიყიდულია 202 ტონა ხორცი, რითაც ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, მიყიდულია 462 ათასი ცალი კვერცხი, ანუ გეგმის 101 პროცენტი.

◆ **ᲝᲜᲘᲡ** რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმები. 21 თებერვლისათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 258 პროცენტით, რძისა — 124,5 პროცენტით, კვერცხისა — 153 პროცენტით. წარმატებით შესრულდა აგრეთვე ნაკისრი ვალდებულებები.

მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქდისი).

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐᲨᲘ

ᲐᲜᲢᲐᲠᲐᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: რა შეუძლია რემიერ-მინისტრ ხრუშჩოვს თქვას იმ საკითხზე, რომელსაც ოგიერთი სახელმწიფოს პრესა ყენებს, რომ საბჭოთა კავშირი ირებს სამხედრო ბაზა ააგოს ინონეზიაში კუნძულ ამბონზე?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: რა შეიძლება უპასუხო ამაზე? როგორც იტყვიან, ერთ სულელს შეუძლია იმენი კითხვა დასვას, რომ ათი ადამიანიც კი ვერ უპასუხებს. **(მხიარული გამოცოცხლება).**

გთხოვთ სწორად გამიგოთ: ეს ითხვა შეეხება კორესპონდენტს, რომელმაც ეს კითხვა მომცა. მე ველა აქ დამსწრე მიმაჩნია არა ოლოდ ქკვიანად, არამედ გენიალურად. **(მხიარული გამოცოცხლება დამსწრეთა შორის, შეძახილი: „ალარგია“).**

მაგრამ მინდა არსებითად გაგცეთქვა აზრი, თორემ შეუძლიათ თქვან, ხრუშჩოვმა კონკრეტულ კითხვას თავი აარიდაო. ვინც თვალყურს ადევნებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, მან იცის, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც მოსპო სამხედრო ბაზები, რომლებიც სხვა ქვეყნებში ჰქონდა, ამცირებს თავის შეიარაღებულ ძალებს და ითხოვს ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციას სხვის ტერიტორიებზე, რათა თვითეული ქვეყნის ალარები მხოლოდ მისი საზღვრების ფარგლებში იყონ.

უფრო მეტიც, ჩვენ მოვითხოვთ არა მარტო უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას, არამედ არმიების სრულ დაშლასაც.

ამიტომ სულელური მონაგონი საბჭოთა ბაზის შესახებ ამბონზე ოდნავაც არ შეესაბამება საღ აზრს და საღ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს.

ᲐᲜᲢᲐᲠᲐᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალ უმაღლესი დონის კონფერენციაზე ყველა მხარე მიიღებს ღონისძიებას, რათა წარმატებით გადაიჭრას კონფერენციის წინაშე დასახული ამოცანები. მაგრამ მიაჩნია თუ არა პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვს, რომ დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხები, რომლებიც ხელს უშლიან დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარებას, შეიძლება გადაიჭრას ამ მოლაპარაკებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის მიუღებლად?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: მთავრობათა მეთაურების თათბირში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინდოეთის, ინდონეზიის, იაპონიისა და სხვა დიდი სახელმწიფოების მონაწილეობის საკითხზე საკმაოდ დაწვრილებით ვილაპარაკე ინდონეზიის პარლამენტში წარმოთქმულ ჩემს სიტყვაში. და არა მარტო ამ სახელმწიფოების, არამედ სხვა სახელმწიფოების მონაწილეობაზეც, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან და მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში. მაგრამ ახლა მსოფლიოში ისე მოეწყო ურთიერთობა ქვეყნებს შორის, რომ ზოგიერთი სახელმწიფო არ მონაწილეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში.

სახალხო ჩინეთი მართლაც არ მონაწილეობს ჯერჯერობით მთავრობათა მეთაურების შეხვედრაში, რომელიც ამა წლის მაისში გაიმართება. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ საკითხები, რომლებიც უნდა გადაიჭრას უმაღლესი დონის თათბირზე, არ უნდა გაიყინოს. ბევრი საკითხი, რომლებიც ახლა შეიძლება გადაიჭრას, უფრო მეტად ეხება თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს, მაგალითად, გერმანიის საკითხი და მთელი რიგი სხვა საკითხები. გარდა ამისა, ერთი შეხვედრით, ბუნებრივია, არ შეიძლება ამოიწუროს ყველა სადავო პრობლემა. და ამიტომ ვფიქრობ, რომ 16 მაისს შეხვედრა, თუ მიღებულ იქნა ყველა იმ სახელმწიფოს წარმომადგენლების ღონისძიებანი, რომელნიც ამ შეხვედრაში მიიღებენ მონაწილეობას, კარგი დასაწყისი იქნება.

ვფიქრობ, რომ იგი დაარწმუნებს იმათ, ვისაც ახლა ეს არ ესმის, რომ საჭიროა გაფართოვდეს ასეთი თათბირების შემადგენლობა და ამრიგად სახალხო ჩინეთი თავის ადგილს დაიკავებს არა მარტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, არამედ მთავრობათა მეთაურების თათბირშიც, ისე როგორც თავიანთ ადგილებს დაიკავებენ ინდოეთი, ინდონეზია და იაპონია. ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად მე მიმაჩნია ნამდვილ დიდ სახელმწიფოებად.

ᲐᲜᲢᲐᲠᲐᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: ჩვენ გვსურს მივიღოთ განმარტება, თუ რა ოდენობის დახმარების გაწევას უპირებს საბჭოთა კავშირი ახალ, ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს იმ მიზნით, რომ იქ შეიქმნას სამრეწველო ბაზა? შეგვიძლია თუ არა შევიტყოთ კონკრეტული ციფრები, თუ ვის მიეცა უკვე ასეთი დახმარება და რა ასიგნობებია მიცემული საამისოდ? რა პირობებით ეძლევათ ეს დახმარება?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: მე შემიძლია გაცნობოთ, თუ რა დახმარება გაუწია და უწევს საბჭოთა ქვეყანა ეკონომიურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად არა მაქვს საჭირო მასალები. თუმცა ვფიქრობ, რომ თქვენ არ გეყოფოდათ მოთმინება ამ მონაცემების გასაცნობად ითმომ, რომ საბჭოთა კავშირის დახმარების შესახებ მონაცემების უბრალო ჩამოთვლასაც კი ძალიან ბევრი დრო დასჭირდებოდა. საბჭოთა კავშირი ბევრ ქვეყანას უწევს დახმარებას, და ეს დახმარება, როგორც ჩანს, გადიდდება.

რა პირობებით ვაძლევთ ამ დახმარებას? ვფიქრობ, რომ თქვენ, კორესპონდენტები, არა მარტო წერთ, არამედ კიდევაც კითხულობთ. ამიტომ გთხოვთ წაიკითხოთ თუნდაც დღეს გამოქვეყნებული შეთანხმება, რომელსაც გუშინ ხელი მოვაწერეთ მე და ინდონეზიის პრეზიდენტმა, და დაინახავთ, თუ როგორია ეს პირობები. პირობები უაღრესად შეღავათიანია. ჩვენ კრედიტებს ვიძლევით არა გამორჩენის მიზნით, არამედ ძმური დახმარების გასაწევად. და ამ დახმარებას ღირსეულად აფასებენ ჩვენი მეგობრები, იმ ქვეყნების ხალხები, რომლებიც მას იღებენ.

გაზეთ „ჰარიან რაქიათის“ კორესპონდენტის კითხვა: საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკისა და მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის დაუცხრომელი მეცადინეობის მეოხებით ამ უკანასკნელ ხანს საერთაშორისო დაძაბულობა ნელდება. მაგრამ, როგორც თქვენ აღნიშნეთ თქვენს გამოსვლებში, ჯერ კიდევ არიან შუბლმაგარი მოღვაწეები, რომლებიც კვლავ წამლავენ საერთაშორისო ატმოსფეროს. როგორია, თქვენი აზრით, მსოფლიოს ხალხთა ყველაზე საარსებო ამოცანები უმაღლესი დონის კონფერენციის წარმატებით მოწყობის საქმეში და საერთოდ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ახლანდელი საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელია მშვიდობის შენარჩუნებისათვის. საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაუმჯობესება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტიურად განახორციელებენ ხალხები თავიანთ ღონისძიებებს, რათა ყველა ქვეყნის პოლიტიკა მშვიდობიანი გზით ვითარდებოდეს. ჩვენ გვწამს ეს, რადგან ვიცით, რომ ყველა ქვეყნის ხალხებს მშვიდობა სურთ და ძაბავენ ძალღონეს ამ მიმართულებით. რაც შეეხება შუბლმაგარ მოღვაწეებს, უნდა დავუბრალოთ მათ მაგარი შუბლები, რათა ამ მოღვაწეებსაც შეეძლოთ აითვისონ ახალი, რაც უზრუნველყოფს მშვიდობას ხალხთა შორის.

მე მწამს ადამიანის გონება და ვფიქრობ, რომ თუ თქვენ ხელს შეუწყობთ მშვიდობის განმტკიცებას, ეს დიადი მიზანი მიღწეულ იქნება.

გაზეთ „ჰარიან რაქიათის“ კორესპონდენტის კითხვა: ინდონეზიელი ხალხი, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა, თუ რას ნიშნავს იაპონიის იმპერიალიზმი. და რომელიც ამიტომ ამჟამად იბრძვის იაპონიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, დიდი ყურადღებით მოეკიდა კრიტიკას, რომელიც თქვენ გამოთქვით ინდონეზიის პარლამენტში კისის მთავრობის შესახებ. მაგრამ პრემიერ კისის თქვენი გაფრთხილება „ჩარევად“ მიაჩნია. რა შეგიძლიათ თქვათ კისის ამ თვალსაზრისის გამო?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: თუ ისე გავიგეთ ჩვენი განცხადება, როგორც მას ბ-ნი კისი განმარტავს, მე ასევე შემიძლია მივმართო მას. შემიძლია განვაცხადო, რომ იგი ერევა ჩვენს საქმეებში, რადგან ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა კისიმ ვაშინგტონში, — ხელშეკრულება შეერთებულ შტატებთან, ითვალისწინებს, რომ შეერთებული შტატების ჯარები დარჩნენ იაპონიის კუნძულებზე, ე. ი. ითვალისწინებს იაპონიის ოკუპაციის განგრძობას. იბადება კითხვა, რა მიზნით დატოვეს ამერიკის ჯარები იაპონიაში? მე ვფიქრობ, რომ არა ტაიფუნის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მძვინვარებს ზოგჯერ ამ რაიონში **(მხიარული გამოცოცხლება),** არამედ დატოვებული არიან უწინარეს ყოვლისა სახალხო ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაშასადამე, სწორედ ეს არის ჩარევა ჩვენს საქმეებში. თუ ამგვარად ერევიან ჩვენს საქმეებში, ნება გვიბოძეთ ჩვენც ამითვე ვუპასუხოთ: ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ სამხედრო ბლოკების წინააღმდეგ და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ. და დარწმუნებული ვარ, რომ საღი აზრი, რომლის პოზიციაზეც ჩვენ ვდგავართ, გაიმარჯვებს!

გაზეთ „ბინტანგ თიმურის“ კორესპონდენტის კითხვა: ის დახმარება, რომელსაც წინათ იძლეოდნენ ეგრეთწოდებული „განვითარებული ქვეყნები“, ყოველთვის იმ ხასიათისაა, რომ მიზნად ისახავდა მეტი სარგებლობა მოეტანა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დახმარებას იძლეოდნენ, ვიდრე იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ეს დახმარება ეძლეოდათ; ამიტომ ეგრეთწოდებული „სუსტად განვითარებული ქვეყნები“ ყოველთვის უნდობლობით ეკიდებიან საზღვარგარეთიდან მიღებულ ყოველ დახმარებას. საბჭოთა კავშირმა ამასთან დაკავშირებით გადაშალა თუ არა ახალი ფურცელი იმ დახმარების ხასიათის, პირობების, აგრეთვე მიზნების შესახებ, რომელსაც იგი აძლევს სხვა ქვეყნებს, განსაკუთრებით ეგრეთწოდებულ „სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს“? იმედი გვაქვს, რომ თქვენი აღმატებულება განმარტავს საბჭოთა კავშირის იმ დახმარების ხასიათს, პირობებსა და მიზანს, რომელსაც იგი აძლევს სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს ამჟამად და მისცემს მომავალში, ვითვალისწინებთ რა, რომ სსრ კავშირის 7-წლიანი გეგმის შესრულება უკვე მოახლოებულია.

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: კაპიტალისტური სახელმწიფოების დახმარება ეკონომიურად სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი და სოციალისტური ქვეყნების დახმარება ამ სახელმწიფოებისადმი სულ სხვადასხვა პრინციპებს ემყარება. კაპიტალისტური სახელმწიფოები ხელმძღვანელობენ თავიანთი საზოგადოების კანონით — „თუ არ მოატყუე, ვერ გაჰყიდი“ — სხვანაირად რომ ვთქვათ — დაეხმარე დღეს სუსტს იმ მიზნით, რომ ხვალ სუსტი კვლავ მოგადგეს კარს დახმარებისათვის. და ასე დაუსრულებლად. ეს დახმარება კი არ არის, არამედ იმის სურვილია, რომ ჩაავლო ხელი და ჩაადგო კაბალაში, გახადო ესა თუ ის ქვეყანა სახელმწიფოს ანდა ამა თუ იმ პირთა ჯგუფის ექსპლოატაციის ობიექტი.

სოციალისტური სახელმწიფო თავის ცხოვრებას სხვა საწყისებს უდებს საფუძვლად. ეს საფუძველია ძმური გრძნობები და ყველა ხალხის თანასწორობა. წარმოების საშუალებანი ჩვენში ეკუთვნის არა რომელიმე პირს, ან პირთა ჯგუფს. არამედ ეკუთვნის მთელ საზოგადოებას, ხალხს. ამიტომ ჩვენ ბედნიერება გვინდა ყველა ხალხისათვის, ყველა სახელმწიფოსათვის. და ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკაში იმავე პრინციპებით ვხელმძღვანელობთ. ჩვენ მიგვაჩნია. რომ ეკონომიურად ძლიერი ქვეყნები უნდა დაეხმარონ სუსტ ქვეყნებს, მით უფრო, რომ ისინი სუსტი არიან არა იმიტომ. რომ ბუნებამ არგუნა, სუსტი იყონ, არამედ იმიტომ, რომ ერთ დროს ისინი ძლიერებმა გაძარცვეს. ჩვენ სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს ვეხმარებით დადგხენ ფეხზე, განავითარონ თავიანთი ეკონომიკა, რათა შეეძლოთ უზრუნველყონ თავიანთი ხალხების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, განვითარდნენ. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება უზრუნველვყოთ ნამდვილი მეგობრული, ძმური ურთიერთობა ხალხთა შორის და გამოირიცხოს კაცობრიობის ცხოვრებაში არა მარტო ომი, არამედ ყოველგვარი სხვა კონფლიქტიც. თუ ჩვენ ერთგვარ პროცენტს ვიღებთ სამსახურისათვის, რომელსაც დახმარების სახით ვუწევთ, ვიღებთ, როგორც იტყვიან, ღვთისნიერ პროცენტს, რომელიც საჭიროა კრედიტის მიცემის დროს გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთ „რუდე პრავოს“ კორესპონდენტის კითხვა: ნიკიტა სერგის-ძევ, როგორია თქვენი პირადი შთაბეჭდილებანი აზიის სამ ქვეყანაში, და კერძოდ ინდონეზიაში მოგზაურობით?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: მე მეტად კარგი შთაბეჭდილებანი დამრჩა ინდოეთში, ბირმასა და ინდონეზიაში მოგზაურობით. მეტი წილი დრო გავატარე ინდონეზიაში. ეს მართლაც სამოთხისებური, ზღაპრული ქვეყანაა, რომელმაც ჩემზე მეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

მწამს, რომ, როცა ინდონეზია წელში გაიმართება ხანგრძლივი კოლონიური ჩაგვრის შედეგებისაგან და განავითარებს თავის მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ეს იქნება უმდიდრესი, უბედნიერესი ქვეყანა. ინდონეზიას აქვს რკინის მადნის, კალისა და სხვა წიაღისეულის უდიდესი მარაგი, აქვს ბევრი ჯერ კიდევ გამოუკვლეველი და აღმოუჩენელი სიმდიდრე თავის წიაღში. მას აქვს მშვენიერი ბუნებრივი პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

მე კი არ მშურს, არამედ მეგობრულად, ძმურად მიხარია ეს. ვუსურვებ ინდონეზიელ ხალხს ბედნიერებასა და აყვავებას. ეს მეტად ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხია.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის კითხვა: მართლა თქვით თუ არა, რომ მტკიცედ მოითხოვთ დასავლეთელი მოკავშირეები წვიდნენ დასავლეთ ბერლინიდან დამოუკიდებლად იმისა, თუ რა დათმობას გააკეთებენ ისინი განიარაღებაში რუსეთის პოზიციის დასაკმაყოფილებლად? გაუკეთეთ თუ არა თქვენ ეს განცხადება იტალიის პრეზიდენტ გრონკის?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: კითხვა მთლად სწორად არ არის დასმული: დასავლეთის ქვეყნები თითქოს საბჭოთა კავშირს დაუთმობენ მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხებში, ჩვენ კი დასავლეთს უნდა დავუთმოთ ბერლინის საკითხი. ეს სწორი არ არის. ეს დამოუკიდებელი საკითხებია, და თვითეული მათგანი თავის გადაჭრას მოითხოვს.

განა მარტო საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები არიან დაინტერესებულნი განიარაღებით, მშვიდობის უზრუნველყოფით? მშვიდობის უზრუნველყოფით დაინტერესებულია ყველა ხალხი. ამიტომ განიარაღების საკითხი განხილულ და გადაჭრილ უნდა იქნას ისე, რომ სასარგებლო იყოს ყველა ქვეყნისათვის, ყველა ხალხისათვის, მშვიდობის საქმისათვის.

დასავლეთ ბერლინის საკითხი სულ სხვა საკითხია. ეს არის საკითხი მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ, რომლის გადაჭრა გაჭიანურდა 15 წელიწადს ომის დამთავრების შემდეგ. კიდევ რამდენ ხანს უნდა ველოდოთ? მალე შეიკრიბება თათბირი უმაღლეს დონეზე, რათა განმტკიცოს მშვიდობა, მაგრამ ჯერ ხომ ლიკვიდირებული არ არის წარსული ომის ნაშთები. ასეთი მდგომარეობა ეწინააღმდეგება საღ მოსაზრებას. ამიტომ ჩვენ ვეცდებით ომის ნაშთების ლიკვიდაციას, ვეცდებით დავარწმუნოთ ჩვენი მოკავშირეები წარსულ ომში ხელი მოაწერონ საზავო ხელშეკრულებას ორივე არსებულ გერმანულ სახელმწიფოსთან. თუ ისინი ამას ვერ გაიგებენ, ანდა გაიგებენ, მაგრამ არ მოისურვებენ ამას, მაშინ ჩვენ ხელს მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

როცა ხელმოწერილ იქნება საზავო ხელშეკრულება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, მაშინ მთელი შედეგები, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ ომიდან გამომდინარეობენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეწყვეტენ არსებობას, მათ შორის დასავლეთ ბერლინის მიმართაც. დასავლეთი ბერლინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზეა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ინდონეზიის რესპუბლიკაში. **ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ** და ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი სუკარნო კუნძულ ბალიზე.

ფოტო ს. სმირნოვისა.

ᲐᲜᲢᲐᲠᲐᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: დასავლეთის ქვეყნები წინადადებას იძლევიან მოეწყოს პლებისციტი მთელ გერმანიაში, რათა გადაიჭრას პრობლემა ამ სახელმწიფოსი, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად. რას იტყვის ამაზე პრემიერ-მინისტრი ხრუშჩოვი?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: ერთ დროს ჩვენ უკვე განვმარტეთ ჩვენი პოზიცია ამ საკითხში.

ჩვენ მოვითხოვთ ჩაურევლობას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. საკითხი პლებისციტის შესახებ ამა თუ იმ სახელმწიფოში ანდა სახელმწიფოებში მისი მოწყობის შესახებ შეეხება მხოლოდ იმ ხალხებს, რომლებიც ამ სახელმწიფოებში მოსახლეობენ: საბჭოთა კავშირი და გერმანია მეზობლებიც კი არ არიან. თუ წარმოიშვა პლებისციტის საკითხი, დაე ორივე გერმანული სახელმწიფოს მთავრობები შეხვდნენ ერთმანეთს, შეთანხმდნენ და განახორციელონ ის, რაც სურთ, საბჭოთა კავშირი ცნობს და პატივისცემით მოეკიდება მათს გადაწყვეტილებას. მაგრამ თვითონ ჩვენ არ ვიღებთ და არც მივიღებთ მონაწილეობას ასეთი საკითხების გადაჭრაში და იმის წინააღმდეგი ვართ, რომ რომელიმე სახელმწიფო ერეოდეს სხვა ქვეყნების საქმეებში.

ლონდონის გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტის კითხვა: თქვენ კვლავ ითვალისწინებთ თავისუფალი ქალაქის სტატუსს ბერლინისათვის?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: დიახ, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ. ჩვენ გვსურს დასავლეთ ბერლინის საკითხი ისე გადაიჭრას, რომ არ შეიქმნას სიძნელეები არავისთვის, გვსურს მხოლოდ ფიქსირებულ იქნას ამ ქალაქში შექმნილი პირობები. დასავლეთ ბერლინში არსებობს კაპიტალისტური წესები. ჩვენ არ გვინდა ჩავერიოთ დასავლეთი ბერლინის მოსახლეობის საქმეებში, არ მოვითხოვთ იქ არსებული საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას. მაგრამ ჩვენ ვცდილობთ და ვეცდებით მივაღწიოთ დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაციას.

მაშასადამე, ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ ერთადერთი შესაძლებლობა, რომელიც არსებობს, — არის დასავლეთ ბერლინისათვის თავისუფალი ქალაქის სტატუსის მინიჭება. ამიტომ ჩვენ ვიღებთ და ვდგავართ ამ პოზიციაზე და ვფიქრობთ, რომ ეს ყველაზე გონივრული პოზიციაა. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენმა მოკავშირეებმა სწორად გაგვიგონ და შემოგვიერთდნენ. ეს სასარგებლო იქნებოდა და ხელს შეუწყობდა იმ საკითხების გადაჭრას, რომლებიც თავიანთ გადაჭრას მოითხოვენ.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტის კითხვა: ბატონო პრემიერო, როგორც პრესა იუწყება, თქვენ დასახული გაქვთ პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ფარული შეხვედრის თარიღი. ვაშინგტონში უარყვეს ამ ცნობის სისწორე. ხომ არ შეგიძლიათ დააზუსტოთ ეს საკითხი?

ნ. ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ: მიკვირს, საიდან მიიღეთ ასეთი ცნობები კორესპონდენტებმა, მაგრამ რაკი ეს ცნობები მიგიღიათ, იძულებული ვარ გამოვტყდე, რომ დიახ, ასეთი შეხვედრა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ნამდვილად მქონდა გუშინ. იგი ინდონეზიაში იყო, და დიდხანს ვესაუბრე. საუბარი უაღრესად მეგობრული იყო. დღეს ის ვაშინგტონში გაფრინდა. გამოგიტყდებით ამაში. **(საერთო სიცილი, ტაში).**

გაზეთ „ბინტანგ თიმურის“ კითხვა: როგორია იმ ბლოკების მომავალი, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან, როგორიც არის ს

ნ. ს. ხრუშჩოვისა და სუკარნოს სიტყვები

საბჭოთა კავშირის ინდონეზიის საელჩოში გამართულ სადილზე

ჯაკარტა, 1 მარტი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** გუშინ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სადილი გამართა ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად. სადილზე ნ. ს. ხრუშჩოვმა და პრეზიდენტმა სუკარნომ მეგობრული სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

ქალბატონებო და ბატონებო! მეგობრებო!

ჩვენ ინდონეზიაში საკმაოდ დიდი ხანი — 12 დღე დავყავით და ძალიან გვახარებს თქვენთან შეხვედრები, ნასიამოვნები ვართ გულთბილი სტუმართმოყვარეობით, რაც ყველგან გაგვიმართეთ თქვენს ქვეყანაში.

ჩვენ ბევრი სასიამოვნო და საყურადღებო საუბარი გვქონდა პატივცემულ პრეზიდენტ სუკარნოსთან, ინდონეზიის მთავრობის წევრებთან. ჩვენ სხვადასხვა პოლიტიკური რწმენის ადამიანები ვართ, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა გაგვეგო ერთმანეთისათვის.

ზოგჯერ ბურჟუაზიული გაზეთები მე „ეშმაკ კომუნისტს“ მიწოდებენ, ამბობენ, რომ ყოველთვის და ყველგან ვაქებ კომუნიზმს. მე ვამაყობ იმით, რომ კომუნისტი ვარ და სწორედ არცთუ ცოტას ვლაპარაკობ კომუნიზმზე, რადგანაც ღრმად მწამს, რომ ეს ყველაზე უკეთესი, ყველაზე სამართლიანი მოძღვრებაა. კომუნიზმის მშენებლობამ, რომელიც ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე, ჩვენი ქვეყანა ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომ კაპიტალისტებს შურით თავბრუ ესხმით. **(მხიარული გამოცოცხლება).**

საზოგადოების განვითარება ბრძოლაა. ახალი ებრძვის ძველს, რომელსაც არ უნდა თავისი ადგილი დაუთმოს ახალს. მაგრამ ახალი, პროგრესული ბოლოს და ბოლოს გარდუვალად იმარჯვებს. ასეთია საზოგადოებრივი განვითარების კანონი. იმარჯვებს ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც თავისუფლებას ანიჭებს ხალხს, უზრუნველყოფს ხალხის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას.

ჩვენ გვინდა მეგობრული ურთიერთობა ვიქონიოთ თქვენს ქვეყანასთან, ყველა ქვეყანასთან, მათ შორის კაპიტალისტურ ქვეყნებთანაც. ხოლო იმ საკითხის გადაჭრა, თუ რომელი წყობილება გაიმარჯვებს, დროს, ისტორიას მივანდოთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემს გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე ზოგიერთი ამერიკელი, რომლებსაც არასგზით არ შეიძლება დავწამოთ სიმპათიები კომუნისტებისადმი, მეუბნებოდა: ჩამოდით ჩვენთან ამერიკაში, დაე გნახონ ამერიკელებმა. როცა ისინი დაინახავენ, რომ თქვენ არა გაქვთ რქები, რომ თქვენც ისეთივე ადამიანი ხართ, როგორც ისინი, ეს დიდ სარგებლობას მოტანასო. ვფიქრობ, ასეთი ადამიანები მართალი იყვნენ. ეს დაადასტურა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემმა მოგზაურობამაც.

ვიმედოვნებ, არ მიწყენთ იმას, რომ მე აქ ვილაპარაკე კომუნიზმის უპირატესობებზე. ვფიქრობ, თქვენ ისე არ გამიგებთ, რომ მე მოგიწოდებთ კომუნიზმისაკენ. ჩვენ ჩვენი გზით მივდივართ, თქვენ თქვენი გზით. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა. ამ მეგობრობას ხომ სარგებლობა მოაქვს ჩვენი ქვეყნებისათვის, ხელს უწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას. ეს მეგობრობა ამდიდრებს ჩვენს ქვეყნებს ურთიერთგამოცდილებით. ვისაც რაიმე საქმე ცუდად მიუდის, შეუძლია გაიზიაროს იმის გამოცდილება, ვისაც საქმე კარგად აქვს.

ვადღეგრძელებ მეგობრობას ქვეყნებს შორის, ჩვენს ხალხებს შორის.

გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნების პროგრესს!

გაუმარჯოს ინდონეზიის ხალხს!

ვადღეგრძელებ ინდონეზიის მთავრობას, ინდონეზიის რესპუბლიკის მეთაურს, ჩვენს მეგობარს, ჩემთვის დიდად პატივცემულ ადამიანს — პრეზიდენტ სუკარნოს! **(ერთსულოვანი ტაში).**

პრეზიდენტ სუკარნოს სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, პრემიერ-მინისტრო ნიკიტა ხრუშჩოვ!

პატივცემულო მეგობრებო!

თქვენ ეს არის ბრძანეთ, ბატონო ხრუშჩოვ, რომ საკმაოდ დიდი ხანი დაჰყავით ინდონეზიაში. შესაძლოა, თქვენ ასეთი გრძნობა შეგექმნათ. მაგრამ ჩვენ საკმაოდ არ მიგვაჩნია ის დრო, რომელიც ინდონეზიაში დაჰყავით. ჩვენ იგი ერთობ მოკლედ გვეჩვენება.

როცა საბჭოთა კავშირში ვიყავი რამდენიმე წლის წინათ, მე მომატარეს ბევრი საბჭოთა ქალაქი ქვეყნის სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ჩვენც გვინდოდა, რომ თქვენ შემოგეგლოთ მთელი ჩვენი ქვეყანა სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე და აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. თუმცა, მხედველობაში რომ მივიღოთ ინდონეზიის გეოგრაფიული მდებარეობა, ასეთი მოგზაურობა, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდ დროს დაიკავებდა.

ამიტომ ჩვენ რამდენადმე ვირ გვაკმაყოფილებს ის, რომ ჩვენში მხოლოდ 12 დღე დაჰყავით. მაგრამ გული დაგვიმშვიდა თქვენმა დაპირებამ, რომ კვლავ ჩამობრძანდებით ჩვენს ქვეყანაში კრეისერით და უფრო დიდხანს დარჩებით. მაშინ, ღვთის შეწევნით, მეტს ვიმოგზაურებთ ერთად ინდონეზიაში. ხომ დაგვპირდით ამას?

ნ. ს. ხრუშჩოვი: რატომ ამყლავნებთ საიდუმლოებას? **(მხიარული გამოცოცხლება დამსწრეთა შორის).**

სუკარნო: მოკლედ რომ ვთქვათ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი აზრით, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ყოფნა ინდონეზიაში საკმაოდ ხანგრძლივი არ იყო. მაგრამ ის მიზანი, რომელსაც ვისახავდით ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით — გვეჩვენებინა ჩვენი სტუმრისათვის ინდონეზიელი ხალხის სულისკვეთება — რამდენადმე შესრულებულია. ბ-ნ ხრუშჩოვს შესაძლებლობა ჰქონდა ესაუბრნა ინდონეზიის სახელმწიფო მოღვაწეებთან, ინდონეზიის ხალხის წარმომადგენლებთან ჯუანდასთან, სუბანდრიოსთან, ჩემთან. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ინდონეზიელი ხალხის გულისწადილის გამომხატველნი ვართ.

გარდა ამისა, და ეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნად მომაჩნია, თქვენ ბ-ნო ხრუშჩოვ, შესაძლებლობა გქონდათ შეხვედროდით ინდონეზიის ხალხის მასებს, ინდონეზიელ ხალხს, რომელიც ყველგან იკრიბებოდა, რათა მოგესალმებოდათ. თქვენ გესმოდათ ინდონეზიელთა აღტაცებული შეძახილები, ხედავდით მათს გაბრწყინებულ თვალებს, და ეს გამოხატავს იმას, რითაც ახლა ინდონეზიელი ხალხი ცხოვრობს. თქვენ შესძელით 12 დღეში შეხვედროდით და გასცნობოდით ინდონეზიას.

როცა საბჭოთა კავშირში ვიყავი, მე ვნახე დიდებული შენობები, განიერი ქუჩები, მშვენიერი მეტრო. ვეკითხებოდი ჩემს თავს, ეს არის საბჭოთა კავშირის არსი? არა. საბჭოთა კავშირის არსი ეს არ არის. საბჭოთა კავშირის არსი საბჭოთა ხალხია, ის, თუ როგორ შემხვდა იგი მე, შორეული ინდონეზიიდან ჩასულ სტუმარს. თქვენ ნახეთ ინდონეზიელი ხალხის თუნდაც ნაწილის თვალთა ბრწყინვა, გაიგონეთ ინდონეზიელთა აღტაცების შეძახილები, და შეიძლება ითქვას, რომ თქვენ გაიცანით ინდონეზიელი ხალხის არსს, თქვენ ჩაიხედეთ მის სულსა და გულში.

რით გამოიხატება ინდონეზიის სულისკვეთება? ეს სულისკვეთება გამოიხატება იმით, რომ ინდონეზიელ ხალხს სურს დამოუკიდებლობა, სურს სამართლიანი და აყვავებული საზოგადოება, სურს ბედნიერება, სურს მეგობრობა მსოფლიოს ყველა ხალხთან, და მე ვიცი, რომ თქვენ გაიგეთ ინდონეზიელი ხალხის სულისკვეთება. თქვენ არა მარტო თანაუგრძნობთ ინდონეზიელ ხალხს, არამედ ამასთანავე მზადა ხართ უანგარო დახმარება გაუწიოთ მას. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ დათანხმდით ჩვეხს მოწვევაზე და ჩამობრძანდით ჩვენს ქვეყანაში.

როცა ჩვენ გიწვევდით, ვიცოდით, რომ თქვენ კომუნისტების წარმომადგენელი ხართ, რომ თვითონ თქვენ კომუნისტი ხართ, მაგრამ, როგორც მე ვთქვი სურაბაიაში გამართულ მიტინგზე, განა კომუნისტები ეშმაკები არიან? არა. ისინი ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ყველა. უფრო მეტიც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თქვენ ჩვენი კარგი და საიმედო მეგობარი ბრძანდებით. თუმცა თქვენ კომუნისტი ხართ, ხოლო ჩვენ სხვა იდეოლოგიურ შეხედულებებს ვაღიარებთ, ჩვენს ხალხებს შორის, ჩვენი ქვეყნის მთავრობებს შორის, ჩვენს სახელმწიფოებს შორის ბევრი საერთო თვისებაა, და სწორედ ამ თვისებებმა მოგვცეს შესაძლებლობა განვავითაროთ მეგობრობა და თანამშრომლობა ინდონეზიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

ის საერთო საწყისი თვისებები, რომლებიც თქვენ და ჩვენ გვახასიათებს, ფართო მეგობრობის, ურთიერთგაგების საფუძველია. აქ თქვენი ხანმოკლე ყოფნის მიუხედავად, ჩვენ შეეძელით შეგვემუშავებინა და ხელი მოგვეწერა სამი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტისათვის.

იცოდეთ, ბ-ნო ხრუშჩოვ, რომ როცა ხვალ თქვენ დატოვებთ ინდონეზიას, როცა გაემგზავრებით ავღანეთში, ხოლო უფრო გვიან პარიზში, ჩვენ ერთმეორისაგან შორს ვიქნებით, მაგრამ ჩვენი გული თქვენთან იქნება. ვადღეგრძელებ საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრობის აყვავებას.

ვადღეგრძელებ საბჭოთა კავშირის ხალხის, სახელმწიფოსა და მთავრობის სიდიადეს!

ვადღეგრძელებ ჩვენს დიდებულ მეგობარს ნიკიტა ხრუშჩოვს და მთელ მის ოჯახს! ვსვამ იმის სადღეგრძელოს, რომ შესრულდეს ჩვენი სურვილი და რომ იგი ერთხელ კიდევ ჩამოვიდეს ინდონეზიაში რამდენადმე უფრო დიდი ხნით. **(ტაში).**

ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება ჯაკარტიდან

ჯაკარტა, 1 მარტი. საკუთარი სპეც. კორესპონდენტები ი. ტრუშინი და ნ. პოზდნიაკოვი იუწყებიან: დღეს დილით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და მისი თანმხლებნი — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. უ. ულჯაბაევი, აზერბაიჯანის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ტ. ა. თაიროვა და სხვა ოფიციალური პირები გაემგზავრნენ სტუმართმოყვარე ინდონეზიის რესპუბლიკიდან და თან წაიღეს ინდონეზიელი ხალხის მიერ საბჭოთა კავშირის მომძმე ხალხებისათვის შეთვლილი გულითადი სურვილები.

ჯაკარტამ დიდი გულთბილობითა და გულითადობით გააცილა საპატიო საბჭოთა სტუმრები.

დილის 7 საათი და 30 წუთია. ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ სუკარნოსთან ერთად, აგრეთვე ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლებმა საბჭოთა სტუმრებმა დატოვეს ნეგარის სასახლე, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვის რეზიდენცია იყო, და ავტომანქანებით გაემართნენ ქალაქის ქუჩებით კემაიარანის აეროდრომზე.

დიდი ჯაკარტისა და მისი მიდამოების ათეულ ათასობით მცხოვრები, რომელნიც თორმეტი დღის წინათ ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ, კვლავ გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში საპატიო საბჭოთა სტუმრის მისაცალმებლად.

კემაიარანის აეროპორტი დღეს სადღესასწაულოდ არის მორთული. მაღალ ფლაგშტოკებზე ფრიალებს სსრ კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები, რომლებიც განასახიერებენ ორი მოძმე ხალხის ურღვევ მეგობრობას, ყველგან ნ. ს. ხრუშჩოვისა და პრეზიდენტ სუკარნოს უამრავი პორტრეტებია. ლოზუნგებს აწერია გზის დასალოცი სიტყვები: „გზა მშვიდობისა ხრუშჩოვს!“, „მხურვალე ალამი საბჭოთა ხალხს ინდონეზიელი ხალხისაგან!“, „გაუმარჯოს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“

ნ. ს. ხრუშჩოვისა და მისი თანმხლები პირების გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ ინდონეზიის მთავრობის ხელმძღვანელები, ინდონეზიის საზოგადო მოღვაწეები: პირველი მინისტრი ჯუანდა, პარლამენტის თავმჯდომარე სარტონო, საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო, მთავრობის სხვა წევრები, პარლამენტის წევრები, ინდონეზიის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები, ქალაქ ჯაკარტის მერი სუმარნო, სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის ინდონეზიის საზოგადოების ხელმძღვანელები და ინდონეზიის სხვა ოფიციალური პირები, სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ინდონეზიაში პ. ს. კუზნეცოვი, უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა კავშირის საელჩოს — [illegible] საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები.

პრეზიდენტ სუკარნოს თანხლებით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის აეროდრომზე მისვლას შეხვდნენ მისასალმებელი შეძახილებით: „სალამათ ჯალან!“ (გზა მშვიდობისა!), „ჰიდუპ ხრუშჩოვ!“ (გაუმარჯოს ხრუშჩოვს!). ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად ეთხოვება ინდონეზიის სხვადასხვა რაიონისა და კუნძულის ახალგაზრდა წარმომადგენელთა ჯგუფს, რომლებსაც აცვიათ ლამაზი ეროვნული ტანსაცმელი, ინდონეზიაში არსებული საბჭოთა კოლონიის წევრებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს, ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობისა და პარლამენტის წევრებს და სხვა ოფიციალურ პირებს, პრეზიდენტ სუკარნოს ოჯახს. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი მიდის მიკროფონთან და წარმოთქვამს გულთბილ გამოსათხოვარ სიტყვას.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბუნგ კარნო! ბატონო მინისტრებო!

ჩემო ძვირფასო ძველო და ახალო მეგობრებო!

ჩვენი მოგზაურობა თქვენს მშვენიერ ქვეყანაში დამთავრდა. 12 დღეს ვიყავით ჩვენ ინდონეზიაში და დიდი სარგებლობით გავატარეთ ეს დღეები.

ჩვენ გავეცანით არა მარტო ინდონეზიის შესანიშნავ დედაქალაქ ჯაკარტას, არამედ ვიყავით მთელ მსოფლიოში განთქმულ ბანდუნგში, ჯოკიაკარტაში, რომელიც ცნობილია თავისი უნივერსიტეტით, ინდუსტრიულ სურაბაიაში, ზღაპრულ კუნძულ ბალიზე. და ყველგან ჩვენ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს, გვხვდებოდნენ ძმური გულითადობით და მეტად გულმხურვალედ. ჩვენ ნასიამოვნები ვართ იმით, რომ ყველგან სიხარულით და ენთუზიაზმით გვხვდებოდა ინდონეზიელი ხალხი — საწარმოებში, მასობრივ მიტინგებზე და, ბოლოს, ქუჩებში და გზებზე, სადაც ჩვენ მივდიოდით.

ინდონეზია არ არის საბჭოთა კავშირის მეზობელი. ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთისაგან ჰყოფენ ბევრი სხვა სახელმწიფო, ვრცელი ზღვები, მსოფლიოს უმაღლესი მთები. ერთი ქვეყნიდან მეორეში რომ თვითმფრინავით გაემგზავრო, მაშინაც კი უნდა გაიარო ათი ათას კილომეტრზე მეტი.

ჩვენს ქვეყნებში სხვადასხვა ზნე-ჩვეულებაა, სხვადასხვა სოციალური წყობილებაა. და მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რომელიც სულ უფრო მტკიცდება და უმჯობესდება. ეს ურთიერთობა მაგალითია მტკიცე მეგობრობისა და საქმიანი თანამშრომლობისა სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური პირობების მქონე სახელმწიფოებს შორის.

ინდონეზიაში ყოფნის დროს ჩვენ მთელი რიგი ფრიად სასარგებლო და შინაარსიანი საუბრები გვქონდა ინდონეზიელ სახელმწიფო მოღვაწეებთან და, უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტ სუკარნოსთან. ამ საუბრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩვენს შორის არ არის არავითარი უთანხმოება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე.

ჩვენ გვაერთიანებს მსგავსი პოზიციები მთელ რიგ საერთაშორისო პრობლემებზე და, რაც მთავარია, — მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხებზე. ჩვენი ქვეყნების ხალხებს, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ხალხებს, სურთ იცხოვრონ მშვიდობით და მეგობრობით, მხურვალედ ოცნებობენ იმაზე, რომ ომი სამუდამოდ გამორიცხოს კაცობრიობის ცხოვრებიდან.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ პრეზიდენტ სუკარნოს, ისევე როგორც მთელ ინდონეზიელ ხალხს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე აწარმოოს ბრძოლა კოლონიალიზმის ნაშთების აღმოფხვრისათვის ინდონეზიაში, თავისი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ხელი შეუწყოს აზიისა და აფრიკის ყველა ქვეყნის ეროვნულ განთავისუფლებას, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის უღელქვეშ. ჩვენ გვაანარებს ეს, რადგან ჩვენ თვითონ ვართ კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის შეურიგებელი მოწინააღმდეგენი.

მეგობრებო! მკაფიო შთაბეჭდილებები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ თქვენს ქვეყანაში ყოფნის დროს, ყველა ჩვენგანისათვის პატივცემულ ბუნგ კარნოსთან საუბრების დროს, თქვენი დიდებული ბუნების სურათები, გულითადი შეხვედრები ინდონეზიის შესანიშნავ ხალხთან—ყოველივე ეს დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ვიზიტი ინდონეზიაში სარგებლობას მოუტანს ორივე ქვეყანას, სამსახურს გაუწევს საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენი მოლაპარაკების შედეგებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ განცხადებაში, აგრეთვე გენერალურ შეთანხმებაში სსრ კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმებაში ჩვენი ქვეყნების კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ეს დოკუმენტები ახალი მკაფიო გამოხატულებაა საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის რესპუბლიკის მეგობრობისა, რომელიც იზრდება და მტკიცდება.

გეთხოვებით რა თქვენ, მინდა გისურვოთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალი წარმატებები კოლონიალიზმის ნაშთების აღმოფხვრისა და ამისათვის ბრძოლაში, რომ დამოუკიდებელი ინდონეზია სულ უფრო მტკიცდებოდეს და ჰყვავოდეს. ერთხელ კიდევ მადლობას ვუძღვნი პრეზიდენტ სუკარნოს, ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის წევრებს, ყველას, ვისაც ვხვდებოდით, კეთილი სტუმართმოყვარეობისა და ჩვენდამი უღრესად გულითადი დამოკიდებულებისათვის.

გისურვებთ, პატივცემულო ბუნგ კარნო, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს თქვენს მოღვაწეობაში.

დაე ჰყვავოდეს თავისუფალი ინდონეზიელი ხალხი!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

(მჭუხარე და ხანგრძლივი ტაში).

* * *

შემდეგ მიკროფონთან მოკლე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა სუკარნომ.

სუკარნოს სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო ხრუშჩოვ!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს დადგა დღე, რომლის დადგომის თავიდან აცილება ჩვენ არ შეგვიძლია, — განშორების დღე, 1 მარტის დღე. დღეს თქვენ, ბატონო ხრუშჩოვ, და თქვენი თანმხლები პირები, დატოვებთ ინდონეზიის რესპუბლიკას. მე არ ძალმიძს, მაჰაბარატას ეპოსის ღმერთების მსგავსად, შევცვალო მზის მოძრაობა. არც ინდონეზიის ხალხს, არც მე არ შეგვიძლია შევაჩეროთ მზის ამოსვლა ან ჩასვლა, როგორც ეს შეეძლოთ მაჰაბარატას ღმერთებს. და თუმცა ჩემს გულს უმძიმს ამ დღის — 1 მარტის შეხვედრა, რა გაეწყობა — იგი უკვე დადგა.

თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ეს არის ილაპარაკეთ იმ მჭიდრო და ურღვევი მეგობრობის მიზეზებზე, რომელიც არსებობს საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას შორის. ამ მიზეზებიდან ძირითადია ის, რომ საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას აერთიანებს ერთიანი მიზნები, ერთიანი გრძნობები და ერთიანი მისწრაფებები. სწორედ ეს არის საფუძველი, რომელზეც იზრდება და ვითარდება ჩვენი მტკიცე მეგობრობა. ხოლო რამდენადაც ჩვენი მეგობრობის ეს პირობები ობიექტურია, დარწმუნებული ვარ, რომ ინდონეზიისა და სსრ კავშირის მეგობრობა კვლავაც სამუდამო და ურღვევი იქნება.

მაგრამ აქ არის აგრეთვე სუბიექტური პირობები. უწინარეს ყოვლისა მათ უნდა მივაკუთვნოთ პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვის პირადი თვისებები. ბევრი აქ მყოფი მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გაეცნო ხრუშჩოვს, მე კი უკვე სამჯერ შევხვედრივარ მას, თუმცა მოკლე ხნით. ეს ჩვენი შეხვედრა ყველაზე ხანგრძლივია — 12 დღე. მაგრამ მე ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვინც მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ გაიცნო იგი, ხრუშჩოვში იპოვნის თავისთვის მეტად მახლობელ ადამიანს, იგრძნობს, თითქოს იდგეს თავისი ძმის გვერდით, რამდენადაც მას აქვს ისეთი მიმზიდველი პირადი თვისებები, როგორიც არის მეგობრობა, გულისხმიერება, აგრეთვე ღია გული. ხრუშჩოვი არასოდეს არაფერს არ მალავს ზურგსუკან, იგი მუდამ გულღიაა, მუდამ უაღრესად ნათელი და გულახდილია, და სწორედ ამიტომ ჩემი მოლაპარაკება მასთან გულახდილად, გაურთულებლად მიმდინარეობდა და წარმატებით დამთავრდა.

ახლა დადგა განშორების ჟამი. როგორც უკვე ვთქვი, მე ძალიან მიმძიმს თქვენი გაშვება, ბატონო ხრუშჩოვ, მით უფრო ასეთ დღეს, როცა, როგორც ვხედავთ, ცაც მოღუშულია. მაგრამ თქვენი საჰაერო ხომალდი „ილ-18“ გაარღვევს ამ ღრუბლებს და მიაღწევს სავსებით მოწმენდილ ცას, და სწორედ: საბჭოთა კავშირმა მიაღწია სავსებით მოწმენდილ ცას თავისი დიდადგანვითარებული ტექნიკით.

მოსკოვსა და ჯაკარტას შუა მართლაც 10 ათასი კილომეტრი მანძილია. მაგრამ თანამედროვე ტექნიკამ ეს მანძილი მეტად მოკლე გახადა. უფრო მეტიც, ერთნაირი გრძნობები, ერთნაირი მისწრაფებანი, ურთიერთ სიმპათიის გრძნობა, რომლითაც აღსავსეა ჩვენი გული, გადალახავს აგრეთვე მთებსა და ოკეანეებს. გვაქვს რა ასეთი ერთნაირი გრძნობები, ერთნაირი სიყვარული, ურთიერთ სიმპათია, ჩვენ ვგრძნობთ, რომ მოსკოვი ჩვენი ახლო მეზობელია, თუმცა, როგორც ეს არის აქ თქვა ბატონმა ხრუშჩოვმა, ჩვენ მეზობლები არა ვართ. მე გეუბნებით, ბატონო ხრუშჩოვ, ნახვამდის (ეს სიტყვები პრეზიდენტმა სუკარნომ რუსულ ენაზე წარმოთქვა). იმედი მაქვს მალე შევხვდებით ერთმანეთს. გისურვებთ მარადიულ აყვავებას, გისურვებთ შემდგომ დიდ წარმატებებს!

ერთხელ კიდევ ნახვამდის (რუსულ ენაზე).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის მეგობრობას!

(მჭუხარე და ხანგრძლივი ტაში).

* * *

ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოუარა საპატიო ყარაულის ფრონტს და მიუახლოვდა ინდონეზიის დედაქალაქის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა წარმომადგენლების დიდ ჯგუფს, დედაქალაქის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების — მუშების, გლეხების, ქალების, ახალგაზრდობის, სტუდენტების, ომის ვეტერანების საზოგადოებათა წარმომადგენლებს. მას ხმამაღალი შეძახილებითა და ტაშით მიესალმნენ. ჰაერში აფრიალდა ბევრი ფერად-ფერადი ბუნტი, რომლებსაც აწერია მისასალმებელი სიტყვები: „ჰიდუპ ხრუშჩოვ!“, „სალამათ ჯალან!“.

ზეიმოვნად ყიღერს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ჰიმნები. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი გულითადად ეთხოვება პირველ მინისტრს ჯუანდას, პარლამენტის თავმჯდომარეს სარტონოს და მთავრობისა და პარლამენტის სხვა წევრებს და მიდის თვითმფრინავისაკენ. ნ. ს. ხრუშჩოვი და სუკარნო მაგრად და რამდენჯერმე ეხვევიან ერთმანეთს. პრეზიდენტი სუკარნო გულითადად გამოეთხოვა საბჭოთა დელეგაციის დანარჩენ წევრებს. ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანამგზავრებს ყვავილების თაიგულები მიართვეს. როგორც კი ავიდა ნ. ს. ხრუშჩოვი თვითმფრინავის ტრაპზე, გაისმა ერთა ქვემეხის სალუტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პატივსაცემად.

8 საათსა და 20 წუთზე იავის დროით საბჭოთა ტურბოხრახნიანი ლაინერი „ილ-18“ ჰაერში ადის და კურსს იღებს ჩრდილოეთისაკენ. თვითმფრინავს აცილებს ინდონეზიის რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების რეაქტიულ ავიაგმანადგურებელთა საპატიო ესკორტი.

გულთბილი შეხვედრა

ჯაკარტა, 29 თებერვალი. **(საკუთარი სპეც. კორ.).** დღეს ჯაკარტის მასობრივი ორგანიზაციების — მუშების, გლეხების, ქალების, ახალგაზრდობის, კულტურული, აგრეთვე მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ვეტერანების ორგანიზაციისა და ინდონეზია-სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების 60-მდე წარმომადგენელი მიიღო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ჯაკარტის ნავგარის სასახლეში. ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მიართვეს სხვადასხვა საჩუქარი ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობისა და ინდონეზიაში ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრობისა და მშვიდობის ვიზიტისათვის მადლობის ნიშნად.

მიართვა რა საჩუქრები, პროფკავშირთა ცენტრალური ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ნიონომ განაცხადა, რომ ხრუშჩოვის ვიზიტს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ინდონეზიის ხალხისათვის, რამდენადაც იგი ხელს უწყობს ინდონეზიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას. აგრეთვე ორივე ქვეყნის თანამშრომლობას მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენი ვიზიტი, თქვა ნიონომ, ინდონეზიელი ხალხისათვის სტიმულია მშვიდობისათვის, სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის პასუხში ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი სავსებით ეთანხმება მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებებს. თქვენს ხალხს, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სურს მშვიდობა, მეც მსურს მშვიდობა, მეც გადასცენ ინდონეზიის მშრომელებს მშვიდობისა და მეგობრობის მომზრე ვარ, როგორც თქვენი ხალხი. თქვენი ხალხი ესწრაფვის დამოუკიდებლობას, ხოლო ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვინდა დაგეხმაროთ თქვენი მისწრაფების რაც შეიძლება მალე განხორციელებაში. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ თქვენი ხალხის ბრძოლაში სრული დამოუკიდებლობის მიღწევისა და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, თქვენს მხარეზე ვართ, ჩვენ თქვენი ერთგული მეგობრები ვართ.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ იგი, როგორც საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის წარმომადგენელი, ამ საჩუქრებს გადასცემს საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა მთავრობას. ნ. ს. ხრუშჩოვმა სთხოვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს გულთბილი სალამი

ჯაკარტა.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ სუკარნოს

ჩვენმა თვითმფრინავმა ეს არის გადაჭრა საზღვარი და დატოვა ინდონეზიის ფარგლები. მინდა ერთხელ კიდევ გამოგეთხოვოთ თქვენ, შესანიშნავ და შრომისმოყვარე ინდონეზიელ ხალხს, მადლ

ვ. ი. ლენინის დღეებში

ფულუკიძე. ამ დღეებში ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის 13-მეტრიანი ბრინჯაოს ძეგლის საფუძველის ჩაყრას. ძეგლის საზეიმო გახსნა მოხდება ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით — 22 აპრილს.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი რ. სანოძე, რაიონის ექიმი ს. მებუკე, ქალაქის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელი პიონერი ჭ. ჯიმკარიანი და სხვ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით რაიონის კოლმეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში იმართება ლექციები და მოხსენებები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

აპრილის პირველ რიცხვებში ქალაქის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივისათვის მოწყობა თეორიული კონფერენცია თემაზე: „სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა“.

გ. მელკაძე.

◆ **საფუძველი ჩაეყარა ვ. ი. ლენინის ძეგლს.** ◆ **დიდი გამოფენა.**

ამ დღეებში საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურის დიდი გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავს.

შვიდ სტენდზე წარმოდგენილია მასალები, ფოტოსურათები, წიგნები, მხატვრული ილუსტრაციები, დიაგრამები, რომლებიც ვრცლად მოგვითხრობენ დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გამოფენა ათი განყოფილებისაგან შედგება. საინტერესო მასალებია ექსპონირებული პირველი სტენდის განყოფილებებში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიოგრაფია“, „მოგონებები ლენინზე“.

მეორე და მესამე სტენდების განყოფილებებში — „ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი“, „ვ. ი. ლენინი — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი“, „ვ. ი. ლენინი — საქართველოს შესახებ“ — ბევრი საინტერესო დოკუმენტია.

მომდევნო სტენდებია: „ლენინური გზით — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ“, „საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობა ლენინიზმის იდეების განხორციელებაა“, „ლენინიზმი დროშაა მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში“, „ვ. ი. ლენინის სახე მხატვრულ ლიტერატურაში“.

ხ. გაფლია.

ბევრმა თბილისელმა ინახულა ახალგაზრდა ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში. გამოფენაზე წარმოდგენილი ფერწერული ტილოებიდან ერთ-ერთი საყურადღებოა გ. გელოვანის სურათი „ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია“. ვაქვეყნებთ მის ფოტორეპროდუქციას.

ვამოწმებთ სკკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას

მეცნიერთა დახმარებით

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან. მეცნიერ მუშაკებთან ერთად მეტალურგები აწყობენ საცდელ მუშაობას. მიმდინარე წელს დაამთავრეს საცდელი სამუშაოები დახურული ღუმელებიდან კიდევ ერთი ახალი ფეროშენადნობის მისაღებად. შედეგი საუკეთესოა. იგი საფუძვლად დაედება ჩვენი ქვეყნის ფეროშენადნობთა ქარხნებში დახურული ღუმელების დაპროექტებას და აგებას, რაც გათვალისწინებულია შვიდწლედის პროგრამით.

დიდ ეკონომიას მისცემს ჩვენს ქვეყანას მეტალურგიული კოქსის ნაცვლად ტორფის კოქსის გამოყენება, რის დასადგენადაც საცდელ სამუშაოებს ზესტაფონელი მეტალურგები აწარმოებენ.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს შესაბამისად მრავალი კარგი ღონისძიება განხორციელდა ქარხანაში. პირველ და მეორე საამქროში დაინერგა ლითონის ნაწილობრივი მექანიკური ჩამოსხმა. ინჟინერ ლ. ცქიტიშვილისა და მდნობელ ვ. ქათამაძის წინადადებით ელექტროხიდურ ამწეზე დაიდგა დამატებითი მოწყობილობა, რამაც უზრუნველყო დახურულ ვაგონებში ლითონის მექანიკური ჩატვირთვა.

მეტალურგმა ნოვატორებმა მნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენეს ფერადი ლითონების ეკონომიურად ხარჯვისათვის. ახალგაზრდა მეტალურგებმა ვ. ქათამაძემ და ი. ფერაძემ შეიმუშავეს წინადადება ღუმელის საკონდაქტო ყბის მუდმივი ყალიბის შექმნის შესახებ, რითაც ათეულობით ტონა ფერადი ლითონები დაიზოგება. მარტო გასულ წელს აქ 67 რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რითაც ქარხანამ 1.030 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ზესტაფონელმა მეტალურგებმა იანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს: წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ დიდძალი ლითონი, პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 0,3 პროცენტით, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 0,2 პროცენტით, დაზოგონ 1.500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, ზეგეგმთი დაგროვებიდან რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 500 ათასი მანეთი, ხოლო რაციონალური წინადადების დანერგვით უზრუნველყონ სულ მცირე 600 ათასი მანეთის ეკონომია.

ქარხნის კოლექტივმა პირველი წარმატება უკვე მოიპოვა. იანვრის დავალება 102,7 პროცენტით გაანაღდა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა რამდენიმე ასეული ტონა ლითონი. მეტალურგებმა წარმატებით იშრომეს თებერვალშიც.

საამქროთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა მეორე საამქრო (უფროსი შ. თედოზაშვილი), რომელმაც დავალება 105,4 პროცენტით გაანაღდა. ბრიგადებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდნენ კ. მდივანის, ი. კოვზორიძისა და რ. სხილაძის მდნობელთა ბრიგადები, რომლებიც ღირსეულად ატარებენ კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელოს.

ო. ნიჟარაძე.

საინჟინრო აზრი უპასუხისგებლის ეპოქას

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში გარსული კონსტრუქციების გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ ჩვენი ხუროთმოძღვრები გარსულ კონსტრუქციებს ხშირად იყენებდნენ გუმბათიანი ტაძრებისა და ეკლესიების აგებისას.

რა არის გარსი? გარსი არის მრუდი ფილა, რომლის ერთი განზომილება (სისქე) დანარჩენ ორ განზომილებაზე (სიგანე, სიგრძე) ბევრად ნაკლებია. ფილა, ძელი გარე ძალების მოქმედების შედეგად ღუნვაზე მუშაობს, ხოლო გარსი უმთავრესად კუმშვას განიცდის. ამის გამო გარსის ტვირთამტანობა ბევრად აღემატება ფილის გამძლეობას.

თაღსაც სიმრუდე აზასიათებს, ისიც ძირითად კუმშვაზე მუშაობს, მაგრამ გარსი იმით განსხვავდება თაღისაგან, რომ სივრცული სისტემაა და ამის გამო მას თაღზე მეტი ტვირთის ატანა შეუძლია.

ჩვენმა წინაპრებმა გონებამახვილურად გამოიცნეს გარსული კონსტრუქციის ხელსაყრელობა. ისინი აგებდნენ გუმბათებს. გუმბათი კი იგივე, აწეული გარსული კონსტრუქციაა. ამ გარსს ისინი აშენებდნენ აგურისა და ქვისაგან, ხოლო შემდგომში, როცა ადამიანმა ლითონის დნობა ისწავლა, ლითონისგანაც. ჩვენს საუკუნეში გარსების გავრცელება დაიჩქარა რკინაბეტონის წარმოების განვითარებამ.

თუმცა გარსული კონსტრუქციები ცნობილი იყო, მაგრამ მშენებლობაში მათ მასობრივად გამოყენებას ხელს უშლიდა აშენების სირთულე.

ჩვენს დროში მშენებლობაში გარსული კონსტრუქციის გამოყენება ეკონომიურობის თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელია. ახლა შეიძლება გარსული კონსტრუქციებით გადახუროთ დიდი ფართობები, საწარმოთა კორპუსები, საკონცერტო და სასპორტო დარბაზები, სტადიონები, დიდი გარაჟები, საბაზანო შენობები, დიდი საწყობები და ა. შ. ისე, რომ სახურავს არ შევუყენოთ არც ერთი სვეტი, არ გავუკეთოთ არც ერთი კოჭი.

ჩვენს რესპუბლიკაში შეძენილია მშენებლობაში გარსული კონსტრუქციების გამოყენების გარკვეული გამოცდილება. საქართველოში გარსულ კონსტრუქციებს იყენებენ არა მარტო შენობათა გადასახურავად, არამედ სართულთა შორის გადახურვისათვისაც. ამ პროგრესული კონსტრუქციების დანერგვას მშენებლობაში ხელი შეუწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტში შექმნილმა გარსების თეორიულად და ექსპერიმენტულად შემსწავლელმა ჯგუფმა, რომელსაც პროფ. ო. ონიაშვილი ხელმძღვანელობს.

მაგრამ ბოლო ხანებამდე გარსულ კონსტრუქციებს მშენებლობაში მასობრივად მაინც არ იყენებდნენ, რადგან ათასთანადო სამუშაოები მონოლითური რკინაბეტონით სრულდებოდა. მონოლითური გარსული კონსტრუქციის მშენებლობის პროცესისათვის კი საჭიროა რთული კონფიგურაციის ქარგილები და დამჭერი სვეტები, რაც მშენებლებს უმეტეს შემთხვევაში მეტი უჯდებათ, ვიდრე გარსული კონსტრუქციის ღირებულებაა. გარდა ამისა, მონოლითური რკინაბეტონით გარსის აგება გამორიცხავდა მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდით განხორციელებას, ხოლო ამის შედეგი იყო მშენებლობის გაჭიანურება და გაძვირება.

მშენებლობის გაიაფებისა და დაჩქარებისათვის საჭირო გახდა გარსული გადახურვებისას გამოგვეყენებინა რკინაბეტონის ასაწყობი ისეთი კონსტრუქციის ფილები, რომლებსაც მონტაჟის დროს არ დასჭირდება არც ქარგილების და არც დამჭერი სვეტების დაყენება. ასეთი ასაწყობი ფილების დამზადება შეიძლება რკინაბეტონის კონსტრუქციების ყველა ქარხანაში და პოლიგონზე.

გარსული რკინაბეტონის ფილებით, რომელთა დასამონტაჟებლად არც ქარგილები და არც დამჭერი სვეტები არ ყოფილა გამოყენებული, ჩვენს რესპუბლიკაში უკვე ამშენებულია ორი სახურავი, ორივე ამ სტრიქონების ავტორის კონსტრუქციისა. ორიოდე წლის წინათ თბილქალაქპროექტმა დაგვგმა ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კომპლექსში სასპორტო დარბაზის აგება. ამ დარბაზის დიამეტრია 30 მეტრი, გარსის ამაღლების ისარი 2 მეტრი; გარსული სახურავის მშენებლობა განხორციელებულია მთავარ თბილისმშენის ძალებით. ასეთივე გარსული გადახურვა დაპროექტებული იყო 1958 წელს საკომუნაპროექტის მიერ წყალტუბოს საანაბაზანო შენობისათვის (დიამეტრი 40 მეტრი, ამაღლების ისარი 3 მეტრი; (მშენებლობა განახორციელა სა-



ქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს კოლექტივმა). ორივე გარსული გადახურვა განხორციელებულია ტრაპეციული ფილებით, რომლებიც კვეთში საფეხურიანია.

გარსული კონსტრუქციის გამოყენება შეიძლება გაცილებით უფრო დიდი ფართობების გადასახურავადაც. ამჟამად თბილისში (საბურთალოზე) შენდება სპორტის სასახლე, რომლის მთავარი დარბაზის გადახურვა გარსით (ზომები 76×76 მეტრი) ხორციელდება ასეთივე კონსტრუქციის ფილებით. მშენებლობას ახორციელებს მთავართბილსმშენი.

პირველთაგანი

თბილისის ფეხსაცმლის 1-ლი ფაბრიკა ერთ-ერთი დიდი საწარმოა ჩვენს რესპუბლიკაში. აქ ამზადებენ ქალისა და მამაკაცის, გოგონებისა და ბიჭუნების მრავალი სახის ფეხსაცმელს. ყოველწლიურად იზრდება რესპუბლიკის ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრე და ამავე დროს მრავალფეროვანი ხდება ფეხსაცმლის ასორტიმენტი. უკვე კარგახანია ცნობილია თავისი მაღალი ხარისხით ამ ფაბრიკის ფეხსაცმელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების შემდეგ თბილისის ფეხსაცმლის 1-ლი ფაბრიკის ინჟინერ ტექნიკოსმა პერსონალმა მთავარი ყურადღება მიაქცია ტექნიკურ პროგრესს, გამოავლინა ახალი რეზერვები, უკეთ მოაწყო მუშაობა, გააჩაღა თავდადებული შრომა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. შემართებულმა შრომამ კარგი ნაყოფი გამოიღო. რესპუბლიკის ფეხსაცმლის ფაბრიკებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მე-4 კვარტალის მუშაობის შედეგებს მიხედვით ფაბრიკის კოლექტივი პირველ ადგილზე გამოვიდა, გადაეცა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცა ფულადი პრემია 225 ათასი მანეთი.

ფაბრიკის კოლექტივი ენერგიულად შეუდგა ბრძოლას შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა შესრულებისათვის. აქ თებერვლის დავალება გადაჭარბებით შესრულეს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს ათეულ ათასობით წყვილი მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი.

ფაბრიკის კოლექტივის ამ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით წარმოების ახალგაზრდა ოსტატებს, რომლებიც დანან ლენინურ შრომითს ვახტზე, ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებენ და იძლევიან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას. მათ რიცხვში ერთი პირველთაგანია ფეხსაცმლის კერვის ოსტატი თამარ მჭედლიშვილი.

* * *

სურათზე: თ. მჭედლიშვილი.

ᲣᲘᲜᲢᲕᲔᲠᲔᲡᲝ ᲚᲘᲑᲠᲔᲢᲝ ᲓᲐ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ყოველი ახალი საოპერო ნაწარმოების შეფასებას ამჟამად, ჩვენი მუსიკალური ხელოვნების განვითარების ახლანდელ ეტაპზე, განსაკუთრებული პრინციპულობით უნდა მივუდგეთ. ის, რაც ადრე ავტორის მიღწევად ითვლებოდა: ცალკეული მოხდენილი ეპიზოდი, ზოგიერთი ვოკალური ნომრის მღერადობა ან ხალხური მელოსის გამოყენება — უკვე ძნელად დაკმაყოფილებს ჩვენს მსმენელს.

სწორედ ასეთი თვალსაზრისით ვაფასებთ ახალ ქართულ ოპერას — კომპოზიტორ ო. თევდორაძის „ლეგენდას თბილისზე“, რომლის დადგმაც ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა განახორციელა. ამ ერთმოქმედებიანი ნაწარმოების მთავარ სიუჟეტურ ხაზად აღებულია ვახტანგ მეფის მიერ თბილისის დაარსების ცნობილი ლეგენდა, რომლის გარშემოც ვითარდება სამი გმირის — მეფის ქალიშვილისა და ორი ჭაბუკის სიყვარულის ამბავი.

მოისმენთ ბოლომდე ოპერას და უნებლიეთ ჩაფიქრდებით: მაინც, რა ამბავი მოხდა, სად არის დრამატული მოქმედება ან ვისი გრძნობები შეეჯახნენ ერთმანეთს? სტატიკური, უინტერესოა ლიბრეტო (ავტორი ჭ. გელეიშვილი). უკვე მრავალი წელიწადია ლიბრეტოს გადაუჭრელი პრობლემა ჩვენი კომპოზიტორების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. რამდენჯერ ვიყავით იმის მოწმე, როცა არასრულფასოვანი ლიბრეტო უარყოფითს დაღს ასვამდა ქართულ ოპერებს, უწინარეს ყოვლისა, მათს მუსიკალურ დრამატურგიას. და ეს იმიტომ, რომ ლიბრეტისტები, რომლებსაც საერთოდ შეუძლიათ წერა, ნაკლებად ერკვევიან საოპერო ჟანრის სპეციფიკაში. განა დრო არ არის, ჩვენი მწერლები მჭიდროდ დაუახლოვდნენ ქართველ კომპოზიტორებს, დაეხმარონ მათ ამ ფრიად საჭირო და კეთილშობილურ საქმეში! ეს, ბუნებრივია, თვითონ კომპოზიტორებზეც არანაკლებ არის დამოკიდებული.

ამჯერად ლიბრეტოში სახეების გარეგნულმა, პლაკატურმა ჩვენებამ დაჩრდილა მათი შინაგანი საწყარო, ხოლო შიშველმა სცენურმა სიტუაციებმა — ნაწარმოების დრამატული კონფლიქტი.

და აი ასეთი ლიბრეტოს საფუძველზე დაიბადა ახალი სუსტი საოპერო ნაწარმოები, თუმცა სწორი არ იქნებოდა მისი ყველა ნაკლი მარტო ლიბრეტოსათვის დაგვებრალებინა. ოპერის ავტორს კომპოზიტორ ოთარ თევდორაძეს აქვს მელოდიური ნიჭი, ხალხური ინტონაციების მოხერხებულად გამოყენების უნარი, რაც მუსიკას ეროვნულ ელფერს ანიჭებს. სასიამოვნოდ ჟღერს გუნდები. მაგრამ ხომ ცხადია, რომ ყოველივე ეს სრულფასოვანი ოპერის შესაქმნელად საკმარისი არ არის. და პირველი, რაც ოპერის დამთავრებისთანავე იგრძნობა, ეს არის თვით მუსიკაში დრამატული მოქმედების, დინამიკის უქონლობა.

ოპერის სამი მთავარი გმირის მუსიკალური დახასიათება საკმაოდ არ არის გამოკვეთილი. მსმენელს კი ყოველი მოქმედი პირი ხომ მაშინ ამახსოვრდება, როცა თვითეული მათგანი საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მუსიკალური ენით მეტყველებს! ოპერის მუსიკა სწორედ იმიტომ ტოვებს ასეთ ერთფეროვან შთაბეჭდილებას, რომ გმირთა მუსიკალური ხასიათი არ არის ინდივიდუალური. ნაზი ლირიკულობით შედარებით გამოირჩევა მეფის ქალიშვილის მამისავარის სახე. მისი მუსიკალური დახასიათება ერთგვარად წარმოგვისახავს მოსიყვარულე ადამიანს.

ოპერაში არის მღერადი ადგილები, მათ შორის ცალკეული სოლო ნომრები. სასიამოვნოა ქალთა გუნდების მუსიკა, მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც იკარგება იმის წყალობით, რომ ოპერის თემატიკურ მასალაში სიახლე არ იგრძნობა. სრულიად მოუმზადებლად, მოულოდნელად ჟღერს ოპერის საერთო საფინალო გუნდი, რომელიც განადიდებს თბილისს. იგი დაწერილია თანამედროვე მასობრივი სიმღერების ყაიდაზე და თავისი სტილით მუსიკის საერთო ხასიათიდან ამოვარდნილია.

როცა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი ხელს ჰკიდებს ახალი ქართული ნაწარმოების განხორციელებას, იგი დიდ ინტერესს იჩენს. ამჯერადაც ეს ენთუზიაზმი იგრძნობა როგორც დირიჟორ ო. დიმიტრიადის, მხატვარ ი. ასკურავას, ცეკვების დამდგმელის ზ. კიკალეიშვილის, ორკესტრისა და გუნდის, ისე სოლისტების ო. კუზნეცოვას, ბ. კრავეიშვილის, თ. მუშკუდიანის, ვ. კანდელაკის, გ. ხეცურიანის ნამუშევრებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი მაღალმხატვრული საოპერო ნაწარმოების შესაქმნელად.

მირა ფიჩხაძე.

პრესის მიმოხილვა

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲮᲐᲠ

პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში სერიოზული წარმატებები მოიპოვეს ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა.

ამ წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვს რაიონულ გაზეთ „მებრძოლს“ (რედაქტორი ი. ქორთუა), რომელსაც გუშინ არსებობის 30 წელი შეუსრულდა.

მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში გაზეთმა თავისი მკითხველები გააცანა რამდენიმე თემატური გვერდით, განყოფილებებით, მრავალი წერილით, რომლებიც ალაფრთოვანებენ და რაზმავენ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

„დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში“ — ასეთია რუბრიკა 27 იანვრის ნომრის ერთ-ერთი განყოფილებისა, რომელშიც მოთავსებულია ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის რ. ბოხუას, კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ს. ლაგვილავას და სხვ. წერილები.

თავისი სასოფლო-სამეურნეო არტელის მომავლის გეგმებსა და ზრდის პერსპექტივებზე მოეთხრობს მკითხველებს გაზეთში ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მონაწილე ი. ქანთარია.

— შვიდწლიანი გეგმით, — სწერს იგი, — ჩვენს კოლმეურნეობას დასახული მჰქონდა 1.050 ტონა ჩაის ფოთლის დამზადება. ამ დავალებას ჩვენი არტელი შეასრულებს 5 წლით ადრე — 1960 წელს, ხოლო 1965 წლისათვის მრეწველობას მიხცემს 1.441 ტონა ნედლეულს და საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე აიყვანს 5.500 კილოგრამამდე. განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ მეცხოველეობის განვითარებას, ხორცის წარმოებას ყოველ ას ჰექტარ სავარგულებზე გავადიდებთ 90 ცენტნერამდე, რძის წარმოებას — 850 ცენტნერამდე.

ჯერ კიდევ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიმდინარეობის დღეებში პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს კახთის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. მათ რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებს მიმართეს მოწოდებით ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გასაადიდებლად.

კახთელთა ამ თაოსნობამ ყველა კოლმეურნეობაში ფართო გამოძახილი ჰპოვა. მეჩაიეებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს და გამოთქვეს მზადყოფნა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრონ შვიდწლედის მეორე წელი.

„მებრძოლი“ სისტემატურად აქვეყნებს წერილებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე. გაზეთში გამოჩნდა რუბრიკები: „1960 წელს ჩაის უხვი მოსავლისათვის“, „კახთელ მეჩაიეთა გამოწვევის პასუხად“, „19.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი სამშობლოს“. გაზეთის ფურცლებზე წაიკითხავთ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების, პარტიელთა მუშაკების, რიგითი ადამიანების წერილებს. მოთავსებულია მოწინავე ადამიანთა პორტრეტები, ნაჩვენებია მათი შრომითი შემართება. პირადი მაგალითი. გაზეთი ბოლოპაგანდას უწევს მეცნიერების მიღწევებს და შრომის მოწინავე ხერხებს.

ასახავს რა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა თავდადებულ ბრძოლას სოციალისტურ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის, გაზეთი ამავე დროს აკრიტიკებს საკოლმეურნეო წარმოების ცალკეულ უბნებზე არსებულ ნაკლოვანებებს, უჩვენებს მათი გამოსწორების გზებს, მიუთითებს გამოუყენებელ რეზერვებსა და საშუალებებზე.

გაზეთის გადაუდებელი ამოცანაა შემდგომშიც არ შეასუსტოს მუშაობა და თავის ფურცლებზე ფართოდ გააშუქოს ზუგდიდის რაიონის მშრომელთა ბრძოლა პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის. იგი უფრო ღრმად უნდა ჩასწვდეს მეურნეობის მართვის მოწინავე მეთოდს, აქტიურად დაუჭიროს მხარი ყოველივე ახალს, მოწინავესა და პროგრესულს, ქმედითად იბრძოლოს წარმოებაში მათი დანერგვისათვის.

ᲥᲝᲛᲝᲜᲘᲡᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲡᲢᲘ

გასულ კვირაში გაზეთ „ქომუნისტის“ რედაქციის მიერ მიღებული ფოსტა გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველ კორესპონდენციებთან ერთად რედაქციამ მიიღო მრავალი მამხილებელი წერილი და კრიტიკული შენიშვნა, განცხადება, შეკითხვა, სიგნალი. სულ 22 თებერვლიდან 29 თებერვლამდე რედაქციაში შემოვიდა 269 წერილი და კორესპონდენცია.

გასული კვირის ფოსტაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ეპირა მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით მიღებულ მასალებს. როგორც ეს მასალები მოგვითხრობენ, ქალაქად და სოფლად კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ეწყობა ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების, აგრეთვე ფოტოდოკუმენტების გამოფენები, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში იმართება დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საუბრები, ლექციათ-მოხსენებები.

მშრომელებმა ბევრი წერილი და კორესპონდენცია გამოგზავნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 39 წლისთავის საზეიმო თარიღთან დაკავშირებით.

მკითხველები გამოეხმაურნენ ჩვენი გაზეთის 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „ორგანიზატორული მუშაობა და არა ადმინისტრირება“. მიღებულია მრავალი სიგნალი, რომლებშიც მოყვანილია ფაქტები ხორცის წარმოების ზრდისა და სახელმწიფოსათვის მისი მიყიდვის დარგში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ, მხილებული არიან მუშაკები, რომლებიც არასწორი გზით, ადმინისტრირების წესით ცდილობენ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმის შესრულებას.

ერთ-ერთ წერილში, რომელიც წყალტუბოს რაიონიდან გამოგვგზავნეს სოფელ რიონის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა, აღნიშნულია, რომ წლის ყოველ კვარტალში სკოლის თანამშრომლებმა უნდა მიაყიდონ სახელმწიფოს 300 კილოგრამი ხორცი, რისთვისაც მათ ხელფასიდან ეკვითებათ გარკვეული თანხა.

გასულ კვირაში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა სხვადასხვა საგაზეთო ჟანრის 65-ზე მეტი მასალა.

რა ბედი ეწია გამოუქვეყნებელ წერილებს?

დაუბეჭდავ მასალებზე ავტორებს ეგზავნებათ პასუხები, ხოლო მამხილებელი წერილები, კრიტიკული შენიშვნები, განცხადებები, სიგნალები, რომელთა გამოქვეყნება გაზეთმა ვერ შეძლო, შესაბამშებლად და ზომების მისაღებად ეგზავნებათ სათანადო ორგანოებს, აგრეთვე ჩვენს კორესპონდენტებს. სამწუხაროდ, აღნიშნულ სიგნალებსა და კრიტიკულ წერილებს ყოველთვის სათანადო ყურადღებითა და შესაფერი გულისხმიერებით როდი ეკიდებიან ადგილებზე. ხშირად უგვიანებენ პასუხს რედაქციასა და ავტორს, ხოლო არის შემთხვევა, როცა მიღებული პასუხი არ შეეფერება სინამდვილეს.

ჯერ კიდევ გასული წლის იანვარში ხობის მშრომელთა დეპუტატების რაიონსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გეგზავნა მამხილებელი წერილი სათაურით — „საავადმყოფო ინგრევა, პატრონი არ არის“. ერთ წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში რედაქციამ ორჯერ გაუგზავნა შეხსენება აღმასკომს, პასუხი კი დღემდე არა ჩანს.

„როდის გვეჭნება სინათლე?“ — ასეთი სათაურით გვწერდნენ წერილს ცაგერის რაიონის კოლმეურნეები. ეს იყო გასული წლის თებერვალში. მას შემდეგ ველით პასუხს ქუთაისის „სოფელელექტრომომარაგების“ უფროსისაგან, ორჯერ შეხსენებაც გავუგზავნეთ, მაგრამ ამაოდ.

ზნაურის რაისაბჭოს აღმასკომისაგან პასუხი არ მიგვიღია ვ. მამაცაშვილის სიგნალზე, რომელშიც გამოთქმული იყო მშრომელთა კანონიერი მოთხოვნა სოფელ მუღლისში რადიოხაზის გაყვანის შესახებ.

ტყიბულ-თერჯოლის გზაზე მგზავრთა ცუდ მომსახურებას ეხებოდა ნ. ჯინჭიხაძის წერილი, რომელიც საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გადაეგზავნა. მართალია, პასუხი დიდად არ დაგვიანებიათ, მაგრამ ზოგად ფრაზებს დასჯერდნენ, საიდანაც ვერ გაიგებ რა გაკეთდა პრაქტიკულად მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ.

**ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲡᲣᲚ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲜ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲭᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡ

ესტრადაზეა სტუდენტთა ორკესტრი

თუ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდობა ამაყობს თავისი სტუდენტური სიმფონიური ორკესტრით, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს არანაკლებ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი საესტრადო ორკესტრით, რომელიც სტუდენტობისა და ახალგაზრდობის მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატია. ამას წინათ თბილისში გასტროლებზე ჩამოსულმა ცნობილმა საბჭოთა საესტრადო მომღერალმა ლენინგრ უტიოსოვმა, რომელიც VI მსოფლიო ფესტივალზე საესტრადო ორკესტრების საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე იყო, საუბარში განაცხადა: „VI ფესტივალზე ორი ორკესტრი მომეწონა განსაკუთრებით: საზღვარგარეთელიდან—იტალიური „ნიუ-ორლეან-რომა“ კარლო ლოფრედოს ხელმძღვანელობით, ხოლო საბჭოთა კავშირიდან — ქართველ სტუდენტთა საესტრადო ორკესტრი იოსებ ტუღუშის ხელმძღვანელობით“. ასევე მაღალი შეფასება მისცა ორკესტრის გამოსვლებს მეორე გამოჩენილმა საბჭოთა საესტრადო პიანისტმა და კომპოზიტორმა ა. ცფასმანმა.

ამ ორკესტრში აღიზარდნენ ნიჭიერი ძალები, რომლებმაც შეავსეს საქართველოს ფილარმონიის ახლად ჩამოყალიბებული საესტრადო ორკესტრი „რერო“. წასულთა ადგილი დაიჭირა ღირსეულმა ცვლამ. ორკესტრმა შექმნა ახალი პროგრამა, მრავალფეროვანი რეპერტუარი. უდავოდ ყურადღების ღირსია ამ კოლექტივის ორკესტრის ვოკალისტთა და მოცეკვავეთა ძირითადად ახალი შემადგენლობა, განსაკუთრებით კი ნიჭიერი სოლისტი-ვოკალისტები: ჯანო ბაგრატიონი, დემურ ცქიტიშვილი, ლოლა ხომიანცი, ნანული აბესაძე, ვოკალური კვარტეტის წევრები.

ახალ ღირსეულ ცვლას მხარს უმშვენებენ „ძველი“ ორკესტრანტები — საყვირზე შემსრულებლები ანზორ მუსერიძე და ენვერ ხმიროკი, საქსოფონისტი ალექსანდრე მანჯგალაძე და სხვ.

წელს საზამთრო სტუდენტური არდადეგების პერიოდში საესტრადო ორკესტრი თავისი ახალი პროგრამით და ახალი შემადგენლობით ლენინგრადელი სტუდენტების მიწვევით გასტროლებზე იმყოფებოდა ქ. ლენინგრადში და კონცერტებს მართავდა ჟდანოვის საბჭოს უნივერსიტეტის, გემთსაშენებლო ინსტიტუტის, სატყეო-ტექნიკური და ფრუნზეს საბჭოს სამხედრო-საზღვაო აკადემიების კლუბებში.

ამ გასტროლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მონაწილეობა კონცერტში, რომელიც ლენინგრადის კიროვის სახელობის კულტურის სასახლეში საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ახალგაზრდობის მეგობრობის აღსანიშნავად გაიმართა. საყურადღებოა, რომ ამ კონცერტის პირველ განყოფილებაში გამოდიოდნენ ლენინგრადელ, ვილნიუსელ, ხარკოველ, როსტოველ სტუდენტთა მხატვრული კოლექტივები და მთელი რიგი საზღვარგარეთული ქვეყნების წარმომადგენლები, ხოლო მეორე განყოფილება მთლიანად ჰქონდა დათმობილი ქართველ სტუდენტთა საესტრადო ორკესტრს. ამ საღამო-კონცერტს გაზეთმა „ვეჩერნი ლენინგრადმა“ დიდი სტუდენტური „საზამთრო ფესტივალი“ უწოდა და განსაკუთრებული ქებით მოიხსენია ქართველ სტუდენტთა გამოსვლა.

დ. გველესიანი.

„კარდაკარ“

საქარელმა ჭაბუკმა ოთარ აბესაძემ ზესტაფონში დაამთავრა საშუალო სკოლა. მას ბავშვობიდან უყვარდა და იტაცებდა ლიტერატურა, ხელოვნება, იგი იმთავითვე იცნობდა კინორეჟისორობაზე და კიდეც აისრულა სურვილი. ო. აბესაძემ წარმატებით დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი და სადიპლომოდ გამოჩენილი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის ნაწარმოები „სოლომონ მორბელაძე“ აიღო. თანარეჟისორად ინსტიტუტელი მეგობარი მერაბ კოკოჩაშვილი აირჩია. ფილმისათვის სცენარი რევაზ თაბუკაშვილმა დაწერა და მას შეარქვეს „კარდაკარ“.

სცენარი თბილისის კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ სამხატვრო საბჭომ განიხილა. იქ ესწრებოდა დ. კლდიაშვილის შვილი მწერალი ს. კლდიაშვილი. სცენარი და ახალგაზრდა რეჟისორის ჩანაფიქრი ერთსულოვნად მოიწონეს.

შერჩეულ იქნენ მსახიობები. სოლომონ მორბელაძის როლს ასრულებს ნიჭიერი მსახიობი გ. თალაკვაძე, ბესარიონ საქარაძის როლს — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი კ. აბესაძე, ქაიხოსრო ქათამაძის სახეს წარმოსახავს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ტყეშლაძე, ეფროსინეს—საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ს. თაყაიშვილი, პელაგიას — ნ. ჩხეიძე, ელპიტეს — მანანა მეძმარიაშვილი, ნიკოს — თ. მდივანი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ფილმში ბევრი ზესტაფონელი მონაწილეობს, მათ შორის თ. მდივანი, შ. ფოცხვერაშვილი, მოხუცი მხედარი ა. მხეიძეისიც საყურადღებოა, რომ პელაგიას როლის შემსრულებელია სახელგანთქმული მსახიობის უშანგი ჩხეიძის და, ხოლო ელპიტეს როლს ასრულებს უშანგის დისშვილი.

როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ფილმის გადაღება დაიწყო გასული წლის აგვისტოდან თერჯოლის რაიონში. კადრები გადაიღეს სოფლებში ღვანკითში, რუფოთში, საზანოში, თერჯოლაში, ბარდუბანსა და ზედა სიმონეთში. ფილმის გადაღება გრძელდება თბილისის კინოსტუდიის პავილიონებში. ბისი ჩვენება ნავარაუდევია მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

კინოფილმ „კარდაკარის“ მთავარი მხატვარია ზ. მეძმარიაშვილი, კომპოზიტორი არ. კერესელიძე.

პ. ჭიოკაძე.

კინოფილმიდან „კარდაკარ“. გ. თალაკვაძე — სოლომონ მორბელაძე.

„საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა:

აკ. წერეთელი, 9 და 10 ტომები, გამომცემლობის რედაქტორი თ. გოგოლაძე, ტირაჟი 20.000, ფასი 18 მან.

ხუტა ბერულავა, რჩეული (ლექსები და პოემები). რედაქტორი რ. ორჯონიკიძე, ტირაჟი 5.000, ფასი 6 მან. 50 კაპ.

გ. შატბერაშვილი, „ჩემს ძველ სახლში“, რედაქტორი რ. ბეჟანიძეული, ტირაჟი 10.000, ფასი 4 მან. 25 კაპ.

ხ. ვარდოშვილი, რჩეული. რედაქტორი გ. ციცქიშვილი, ტირაჟი 3.000, ფასი 5 მან. 10 კაპ.

ნაზი კილასონია, ლექსები. რედაქტორი ე. ბუაჩიძე, ტირაჟი 2.000, ფასი 1 მან. 70 კაპ.

ამ დღეებში თბილისის მუსიკალური საზოგადოების წინაშე წარსდგა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ტატიანა გოლდფარბი. დამოუკიდებელი კონცერტის გარდა იგი გამოვიდა სიმფონიურ კონცერტში დირიჟორ ალბის ჟიურაიტისთან ერთად. ტ. გოლდფარბმა შეასრულა შუბერტის ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის — „მოხეტიალე“.

საინტერესო კონცერტებმა მსმენელთა მოწონება დაიმსახურა.

სურათზე: ტატიანა გოლდფარბი.

ფოტო ბ. დადვაძისა და შ. ჩხეტიანისა.

თვითმოქმედი კოლექტივის 100 სპექტაკლი

ამ დღეებში თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშათა კლუბის თვითმოქმედმა დრამატულმა კოლექტივმა უჩვენა თავისი ახალი დადგმა ა. აფხაიძის „ძველის ტყვეობაში“.

ამ კოლექტივის დადგმები დიდი პოპულარობით სარგებლობენ რაიონის მშრომელებში. თავისი არსებობის 23 წლის მანძილზე უძველესმა მუშათა თვითმოქმედმა კოლექტივმა განახორციელა 100-ზე მეტი დადგმა. მაყურებელმა მისი შესრულებით ნახა: ბ. ლავრენოვის „რღვევა“, შ. დადიანის „ბატონი და ყმა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ა. ყაზბეგის „ირსენა“, ვ. გუნიას „და-ძმა“ და სხვ.

ბევრი სცენისმოყვარე ამ დრამატული წრის წევრთაგან ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სასცენო ხელოვნების დარგში დაჯილდოებულია ქების სიგელებით.

კ. ერისთავის საიუბილეო საღამო

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეიკრიბნენ სამეცნიერო ორგანიზაციათა, სამედიცინო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენელნი, რათა პატივი ეცათ კონსტანტინე ერისთავისათვის მისი დაბადების 70 წლისთავთან და მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადო მოღვაწეობის 45 წლისთავთან დაკავშირებით.

საღამო შესავალი სტატიით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. მარუაშვილმა.

პროფესორმა მ. კობახიძემ თავის მოხსენებაში გააცნო შეკრებილთ იუბილარის ცხოვრების გზა.

საღამოზე იუბილარს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები ნ. კეცხოველი, გ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი ი. ტატიშვილი, პროფესორები ი. შველიძე, გ. ხუნდაძე, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზ. მამედოვი, ერევნის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი ბ. მალტაზიანი და სხვ.

წაკითხულ იქნა იუბილარის სახელზე მიღებული დეპეშები.

აკადემიკოსმა კ. ერისთავმა გულითადი მადლობა გადაიხადა მისი შრომის დიდი დაფასებისათვის. (საქდესი).

ასი წლის მოხუცი

ახალციხე, 1 მარტი. (საქდესი). სოფელ ქვაბისხევის კოლმეურნეობა ზეიმით აღნიშნავს თავიანთი კოლმეურნეობის უხუცესი წევრის ვ. მაისურაძის დაბადების 100 წლისთავი.

მოხუცი ხშირად უყვება თავის შვილებსა და შვილიშვილებს და მათ შვილებს, რომელთა რიცხვი 20 აღწევს, თუ როგორი მძიმე და უსიხარულო იყო წინათ გლეხკაცის ცხოვრება. ლუკა-პეტრის საშობაოდ მას ხშირად უხდებოდა სახლიდან წასვლა. იგი ტრკვებს მიაცურებდა ბორჯომიდან და ახალციხიდან თბილისისა და ბაქოსაკენ. აქ მუშაობის დროს ვ. მაისურაძე დაუახლოვდა რევოლუციურად განწყობილ მუშებს, რომელთაც ასწავლეს მას, თუ როგორ არის საჭირო ბრძოლა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. იგი ასრულებდა ცალკეულ დავალებებს. რევოლუციურ მუშაობაში მონაწილეობისათვის 1906 წელს ვ. მაისურაძე 3 წლით გადაასახლეს ცმბირში.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მკვეთრად შეცვალა გლეხობის, ბედ-იღბალიც. საკოლმეურნეო შრომამ სამდიდრე და დოვლათი მოიტანა გლეხის სახლში, განუზომლად გაიზარდა საკოლმეურნეო სოფლის კულტურა. ამის ნათელი მაგალითია მოხუცი კოლმეურნის ოჯახი, რომლის ბევრ წევრს უმაღლესი განათლება აქვს.

მოხუცი, კოლმეურნე პერსონალურ პენსიას იღებს. მაგრამ იგი უსაქმოდ მაინც ვერ ჩერდება, მოუთმენლად ელის გაზაფხულს, რომ შეუდგეს ხეხილის ბაღის დამუშავებას.

ეიზენჰაუერი მოგზაურობს

ნიუ-იორკი, 29 თებერვალი. (საქდესი). დღეს მთავრდება სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის მოგზაურობის პირველი ნახევარი. არგენტინიდან იგი გაემგზავრება ჩილეში, შემდეგ ურუგვაიში, ხოლო იქიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდება.

აფასებს რა ამ მოგზაურობის წინასწარ შედეგებს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ლათინური ამერიკის ქვეყნების პრესა საუცხოო ბანკეტებისა და არა ნაკლებ საუცხოო სიტყვების გარდა, რომლებიც ამ ბანკეტებზე წარმოითქვა, ვერ ხედავს ლათინური ამერიკის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ცვლილების ეარავითარ ნიშნს. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი რესტონი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ლათინურ ამერიკაში პრეზიდენტის გამოსვლაში არ იგულისხმება არავითარი ახალი პოლიტიკა. უარობაა ლაპარაკი ცხოვრების (ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხების, — რედ. შენიშ.) დონის ამაღლებაზე იმ სახსრებით, რომლებიც დაზოგილი იქნება შეიარაღებაზე, როცა განიარაღების არავითარი პერსპექტივა არ არის...“.

როგორც ურუგვაის გაზეთ „პაისის“ კორესპონდენტი აღნიშნავს, ბრაზილიის ვაჭრობისა და მრეწველობის ასოციაციის თავმჯდომარემ ანტონიო დე ეიტასიმ ეიზენჰაუერის პატივსაცემად გამართულ სადილზე განაცხადა: „იმისათვის, რომ დაჩქარდეს ჩვენი განვითარება და მოზიდულ იქნას კაპიტალდაბანდებანი, რომლებიც გვესაჭიროება, უნდა მივაღწიოთ საგარეო ვაჭრობისაგან ჩვენი შემოსავლის გადიდებას. ეს არის მოწყობილობის შესყიდვის დაფინანსების, აგრეთვე უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა დაფარვის ერთადერთი საშუალება“. მაგრამ ამ საკითხში ლათინური ამერიკის ქვეყნებს არავითარი დაპირება არ მიუღიათ. ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ შეცვალონ ფასების პოლიტიკა, რომლის შედეგად ლათინური ამერიკის ქვეყნებს დიდი ზარალი მოსდით.

ჩილის სტუდენტთა ფედერაცია, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი იუწყება, ეიზენჰაუერისათვის გაგზავნილ წერილში კვლავ მიდის დასკვნამდე, რომ შეერთებულ შტატებს არასად „არ მოუპოვებიათ ესოდენ ბევრი უპირატესობა და არ უკისრიათ ესოდენ მცირე ვალდებულება, როგორც ამ ნახევარსფეროში“.

ნიუ-იორკი, 29 თებერვალი. (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ბარილოჩედან (არგენტინა) იუწყება, დღეს პრეზიდენტი ეიზენჰაუერი სანტ-იაგოს (ჩილი) გაფრინდა.



საჩუქრად ინდონეზიას

ჯაკარტა, 29 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). გუშინ სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა რეკიგიის საქმეთა მინისტრს ვაჰიდ ვაჰაბს გადასცა მხატვრული ფილმი „პოეტის ბედი“.

როცა მიიღო ეს ფილმი, ვაჰიდ ვაჰაბმა მადლობა გადაიხადა საჩუქრისათვის და განაცხადა, რომ ინდონეზიელი მაყურებლები დიდი ინტერესით გაეცნობიან სურათს, რადგანაც ინდონეზიაში დიდი აყურადღებითა და ინტერესით ეკიდებიან საბჭოთა შუა აზიის რესპუბლიკების ცხოვრებას. ფილმი „პოეტის ბედი“ მიძღვნილია დიდი ტაჯიკი პოეტის რუდაკისადმი.

საფრანგეთი ემზადება

პარიზი, 29 თებერვალი. (საქდესი). გაზეთი „ლუმანიტეს“ კორესპონდენტთა ჯგუფმა ამას წინათ იმოგზაურა საფრანგეთის სხვადასხვა რაიონში. როგორც გაზეთი წერს, მოგზაურობის დროს კორესპონდენტები დარწმუნდნენ, რომ ხალხის ფართო მასებს, აგრეთვე სხვადასხვა წრეების წარმომადგენლებს ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ჩამოსვლა საფრანგეთში მიაჩნიათ წვლილად მშვიდობისა და ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში.

ისინი ესაუბრნენ მეცნიერებს, მწერლებს, მუშებს, მეწარმეებს, გლეხებს. მთელმა ამ ხალხმა სხვადასხვა და ხშირად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა მიმდინარე ამბებზე. მაგრამ საფრანგეთში ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ჩამოსვლის გამო ყველანი ერთსულოვნად ერთსა და იმავეს ამბობდნენ: ეს არის მშვიდობის შანსი, რომელიც ხელიდან არ უნდა გაუშვათო.

მაგრამ, აღნიშნავს გაზეთი, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერის მისწრაფებას. სოციალისტური პარტიის ზოგიერთ ხელმძღვანელს სურს ვიზიტი შეზღუდოს უბრალო და ცოტად თუ ბევრად საიდუმლო საუბრებით.

მთავარი ის არის, რომ „საფრანგეთი ემზადება კარგად შეხვდეს ხრუშჩოვს“— ამაში დარწმუნდნენ „ლუმანიტეს“ კორესპონდენტები, რომლებიც იყვნენ საფრანგეთის სხვადასხვა რაიონში ლილიდან მარსელამდე, ბორდოდან რეიმსამდე.

საომარი მოქმედება ალჟირში

კაირო, 1 მარტი. (საქდესი). ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე 25-26 თებერვლის საომარ მოქმედებათა შესახებ. კომუნიკეში ნათქვამია, რომ საფრანგეთის არმიის ზარალი ამ პერიოდში შეადგენს 286 მოკლულსა და 137 დაჭრილს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა განახორციელეს შეტევითი ოპერაციები საფრანგეთის ჯარებს 11 საომარ პოზიციაზე.

მოსპობილია ფრანგების 16 ავტომანქანა და ჯავშნიანი ავტომობილი და აფეთქებულია ფრანგების ერთი სამხედრო ეშელონი. ჩამოგდებულია ფრანგების ერთი სამხედრო თვითმფრინავი.

სკვო ველიში გამარჯვებულნი

სკვო ველი, 29 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ვ. ოზეროვი იუწყება:

10 დღის შეჯიბრების შედეგად საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა ქულების (146,5) და მედლების რაოდენობის მიხედვით. მას თან მიაქვს 21 მედალი, ე. ი. ყველა მედლის მეოთხედი ნაწილი, მათ შორის 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალი.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ, სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ე. ა. ვალუევმა საკდესის კორესპონდენტს გაუზიარა შთაბეჭდილებანი დამთავრებული ოლიმპიადის შესახებ. მან თქვა: VIII ოლიმპიური ასპარეზობა გადაიქცა ზამთრის სპორტის მოყვარულთა დიდ დღესასწაულად. ასპარეზობამ ერთხელ კიდევ ცხადყო ყველა ქვეყნის სპორტსმენთა მისწრაფება მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი.

ოთხი წელიწადი გავიდა წარსული ოლიმპიადიდან და ამ წლებს ამაოდ არ ჩაუვლია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი მუშაობა გასწიეს ზამთრის სპორტის განვითარებისათვის. ბევრი რამ გაკეთდა ამ დარგში აგრეთვე საბჭოთა კავშირში. საბჭოთა სპორტსმენების წარმატებას ადასტურებს ის, რომ ამჯერად მათ მოიპოვეს 5 მედლით მეტი, ვიდრე კორტინა დ'ამპეცოში, ეს კი მხოლოდ მეორე ოლიმპიადაა, რომელშიც მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირი.

VIII ოლიმპიურმა ასპარეზობამ ცხადყო, რომ ახლა ზამთრის სახეობათა სპორტში აღარ არსებობს ცალკეული ქვეყნების, მაგალითად, ნორვეგიის, ფინეთის, შვეიცის მონოპოლია. ამ ოლიმპიადაზე წარმატებით გამოდიოდნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები. გერმანიის გაერთიანებულმა გუნდმა მოიპოვა სამჯერ მეტი მედალი და ქულა, ვიდრე 1956 წელს.

ამ ოლიმპიადის განმასხვავებელი ნიშანია სპორტსმენ ქალთა უფრო ფართო მონაწილეობა.

საბჭოთა გუნდში კარგად გამოვიდნენ მოთხილამურე ქალები, რომლებმაც 10 კილომეტრზე რბოლაში ოთხი პირველი ადგილი მოიპოვეს. რამდენადმე თავი ანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოდნენ მოთხილამურე ვაქები. სამწუხაროდ, ავად იყო ერთ-ერთი უძლიერესი მოთხილამური პ. კოლჩინი. კარგ შედეგს მიაღწია ახალგაზრდა მოთხილამური გ. ნადი ვაგანოვმა. გაიმჯობესეს შედეგები ორჭიდელებმა. ბრწყინვალე წარმატებები აჩვენეს საბჭოთა მოციგურავეებმა. როგორც ვეტერანებმა, ისე ახალგაზრდობამ. მათ მოიპოვეს ყველა მედალი ნახევარი ციგურაობაში და იმდენივე ქულა, რამდენიც ნორვეგიის, შვეიცის და ფინეთის მოციგურავეებმა ერთად.

საბჭოთა სპორტსმენებს მათ გამარჯვებებში ეხმარებოდა ის, რომ მუდამ გრძნობდნენ სპორტის მოყვარულთა მზრუნველობას და ყურადღებას შორეულ საბჭოთა მწერლების კავშირის თარგმნითი მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“, თანამშრომლობს რუსეთის პრესაში.

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ბაჭრინსკი არჩეული იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრად, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ყველას მეხსიერებაში, ვინც ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ბაჭრინსკის იცნობდა, იგი დარჩება როგორც მებრძოლი, შრომის მოყვარე, მომთხოვნი ჟურნალისტი, თავმდაბალი ადამიანი, გულითადი, გულისხმიერი ამხანაგი და მეგობარი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

ნ. ვ. ბაჭრინსკი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ბაჭრინსკი (ნ. რუბეკინი) — პარტიის წევრი 1920 წლიდან, საქართველოს ერთ-ერთი უხუცესი ჟურნალისტი. მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მან მოახმარა ხალხის, კომუნისტური პარტიის საქმის სამსახურს.

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე დაიბადა 1888 წელს ქ. ჟიტომირში. მიღებული ჰქონდა საშუალო და უმაღლესი სამხედრო განათლება.

1912 წლიდან ნიკოლოზ ვლადიმერის-ძემ გაზეთებში თანამშრომლობა დაიწყო, ხოლო 1918 წლიდან ლიტერატურულ-ჟურნალისტურ საქმიანობა გადაიდგა. საქართველოში მეწუნეიკების ბატონობის დროს მონაწილეობას იღებდა ბათუმის არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში. იგი მეწუნეიკმა ხელისუფლებმა დაპატიმრეს და მოათავსეს ჯერ ქუთაისის, ხოლო შემდეგ ბათუმის საპყრობილეში.

1920-1921 წლებში ნ. ვ. ბაჭრინსკი განაგებდა რსფსრ საკონსულოს საინფორმაციო განყოფილებას ბათუმში.

1921 წლიდან ნ. ვ. ბაჭრინსკი პასუხსაგებ სამუშაოზეა პრესაში. იგი რედაქტორობდა გაზეთ „სოვეტსკი აღჟარისტანს“, მუშაობდა მოსკოვის გაზეთ „ნაშა გაზეტაში“, იყო გაზეთ „კრასნაია ზვეზდას“ (მოსკოვი) ლიტერატურული თანამშრომელი საერთაშორისო საკითხების დარგში, გაზეთ „ბორბას“ (სტალინგრადი) რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, მუშაობდა საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პრესის განყოფილებაში, იყო „პრავდის“ ამიერკავკასიის კორესპონდენტი.

1930 წელს ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე გადავიდა პასუხსაგებ სამუშაოზე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში. 1933 წელს დაინიშნა გაზეთის მდივნად, ხოლო შემდეგ გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილედ. 1940 წლიდან ნ. ვ. ბაჭრინსკი კვლავ „ზარია ვოსტოკაშია“. პრესაში თავის მუშაობას იგი ათავსებს აქტიურ პრაქტიკულ მოღვაწეობასთან, არის საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი.

1946 წლის აპრილიდან ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ბაჭრინსკი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორია. გაზეთის ფურცლებზე იგი ხშირად აქვეყნებდა ბასრ პამფლეტებსა და ფელეტონებს, საერთაშორისო მიმოხილვებსა და სხვა მასალებს, რომლებიც მკითხველთა მაღალ შეფასებით სარგებლობდა.

1953 წელს ნ. ვ. ბაჭრინსკი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პენსიაზე გადადის, მაგრამ კვლავ განაგრძობს ლეკციურ პროპაგანდას, ეწევა რედაქტორულ მუშაობას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თარგმნითი მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“, თანამშრომლობს რესპუბლიკურ პრესაში.

ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ბაჭრინსკი პასუხისმგებელი იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრად, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ყველას მეხსიერებაში, ვინც ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე ბაჭრინსკის იცნობდა, იგი დარჩება როგორც მებრძოლი, შრომის მოყვარე, მომთხოვნი ჟურნალისტი, თავმდაბალი ადამიანი, გულითადი, გულისხმიერი ამხანაგი და მეგობარი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი.

რედაქტორი
დ. მჟელდიშვილი.

ბოლი

ბონი. 29 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ბ. იურინოვი გადმოგვცემს: ესპანეთში ბუნდესვერის ბაზების შექმნის გეგმები აღელვებენ დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობას. გეგმებს გმობენ პრესა და ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეები. გავლენიანი ჟურნალი „შპიგელი“ ამ გეგმებს უწოდებს „აპასურდულსა და საზოგადოებრივად საშიშს“. სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გენერმა ჰოლცჰაუზენში წარმოთქმულ სიტყვაში გააკრიტიკა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის შტრაუსის „თვითნებური მოქმედება“. მსოფლიოს ჯერ არ დავიწყნია, ხაზგასმით აღნიშნა მან, რაც ერთხელ მოხდა: სამოქალაქო ომი ესპანეთში გახდა მეორე მსოფლიო ომის პრელუდია.

დღეს პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორჯერ გააფრთხილეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, რომ შესაძლებელია პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს ესპანეთ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკებას სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ. „ამერიკის გაფრთხილება თვითნებური მოქმედების შესახებ ესპანეთში მომარაგების ბაზების სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ, სანამ ამ პრობლემას მთლიანად განიხილავდნენ მოკავშირეები ნატოში.

დასავლეთ გერმანიის პრესა აქვეყნებს ცნობებს, რომ ესპანეთის მოსახლეობა უარყოფითად ეკიდება მის ტერიტორიაზე ბუნდესვერის სამხედრო ბაზების შექმნის გეგმებს, „ესპანეთის მოსახლეობის ლური საბჭოს გადაწყვეტილებას, რაც უკვე დიდი ხანია მიღებული იყო.

მთელი რიგი გაზეთების ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დიპლომატიური გზით მოსთხოვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შეაჩეროს მიღება გადაწყვეტილებისა ევროპის სხვა სახელმწიფოებში ბუნდესვერის მომარაგების სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ, სანამ ამ პრობლემას მთლიანად განიხილავდნენ მოკავშირეები ნატოში.

ინგლისელ ფილოსოფოსი ბერტრან რასელი ინგლისელ ფილოსოფოსი ბერტრან რასელი ინგლისელ ფილოსოფოსი ბერტრან რასელი